პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი
1
ივნისი
1937 წ.
№ 123 (4924)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

დღეს გაზეთში:

- უკრაინის კ.პ. (ბ) XIII ყრილობის მისალმება ამხანაგ სტალინს
- სერიოზული გაფრთხილება მეთამბაქოობის რაიონებს (მეთაური)
- ბოლშევიკური პრინციპულ..ბა და ორგანიზებულობა („პრავდის“ მეთაური).
- უზბეკთა ხელოვნების დეკადა უდიდესი წარმატებით ჩატარდა.
- ლ. ნაზარეტიანი—დედა-ქალაქის სამკურნალო ქსელი (ფელეტონი).
- საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

უცხოეთში:

- ერთა ლიგის საბჭოს სხდომა—საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის სიტყვა და ესპანეთის წარმომადგენლის ალვარეს დელ ვაიოს გამოსვლა.
- ესპანეთის ფრონტებზე
- ხაიასის მთავრობა გადადგა.

სერიოზული გაფრთხილება მეთამბაქოობის რაიონებს

„კომუნისტის“ 30 მაისის ნომერში დაბეჭდილია მიწსახკომის ოპერატიული ცნობები თამბაქოს დარგვის მიმდინარეობაზე. ეს ცნობები მეტად დამაფიქრებელია. 25 მაისისათვის მთელ საქართველოში თამბაქო დარგული იყო 11.593 ჰექტარზე, ანუ გეგმის 55,7 პროცენტი. თამბაქოს დარგვის დამთავრების ვადა ამოიწურა. ეს სამუშაო კი ჯერ კიდევ შეუსრულებელია 9.207 ჰექტარზე. თამბაქოს დარგვის გაჭიანურება საფრთხეს უქმნის უხვი მოსავლის მიღებას.

თამბაქოს სამუშაოებში ჩამორჩა ყველა რაიონი, აჭარაც და აფხაზეთიც. დამაფიქრებელია ისიც, რომ შარშან საქართველოში 25 მაისისათვის 1.587 ჰექტარით მეტი თამბაქო იყო დარგული. ეს სამარცხვინო ლაქაა მეთამბაქოობის რაიონებისათვის.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა ყოვლად შეუწყნარებელია. მით უმეტეს, რომ წელს სახელმწიფო გეგმის მიხედვით თვითეულ ჰექტარზე უნდა მივიღოთ, სულ მცირე, 8,7 ცენტნერი თამბაქო. სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხისა და ბორჩალოს რაიონებს კიდევ უფრო მეტი დავალება აქვთ მიცემული თამბაქოს მოსავლიანობის გადიდების მხრივ.

გარდა ამისა, წელს თამბაქოსადმი წაყენებული მოთხოვნილებანი წინა წლებთან შედარებით გაცილებით უფრო მაღალია როგორც სტანდარტის, ისე ასორტიმენტის მხრივ. თუ ყოველივე ეს ამთავითვე არ იქნა გათვალისწინებული, კარგი ხარისხის თამბაქოს მიღებაზე უბრალო ლაყბობა იქნება.

აფხაზეთი თამბაქოს ძირითადი რაიონია. 25 მაისისათვის იქ თამბაქო დარგული იყო 6.646 ჰექტარზე, გეგმის—58,3 პროც. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ყველაზე უფრო ჩამორჩნენ სოხუმისა და ოჩამჩირეს რაიონები. აფხაზეთის „თამბაქნედლეულის“ უუნარო მუშაობას ისიც მოწმობს, რომ 20 მაისისათვის დამთავრებული არ ჰქონდათ თამბაქოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება. ოჩამჩირის რაიონს ამ რიცხვისათვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულების გეგმა შესრულებული ჰქონდა 71,4 პროცენტით. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები კი თავს იწუგეშებენ—არა უშავს, მოვასწრებითო. აფხაზეთში ჩამორჩა თამბაქოს სხვა სამუშაოებიც. ცნობილია, რომ დარგვიდან 10 დღის შემდეგ თამბაქოს პლანტაციები უნდა გაითოხნოს. 25 მაისისათვის აფხაზეთში 6.646 ჰექტარიდან გათოხნილი იყო მხოლოდ 284 ჰექტარი. აფხაზეთში შეხვდებით კოლმეურნეობათა თამბაქოს ისეთ პლანტაციებს, სადაც სარეველა ბალახი არის მოძალებული. ეს იმითაც აიხსნება, რომ აფხაზეთის მიწსახკომის მუშაკებმა არ იციან, თუ რა კეთდება ადგილებზე.

კარგი ხარისხის თამბაქოს მაღალი მოსავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფარდულების ვადაზე აგებას. აფხაზეთში ამ მხრივაც ცუდადაა საქმე. 20 მაისისათვის ფარდულების კაპიტალური რემონტი დაწყებული ჰქონდა მხოლოდ გაგრის რაიონს, დროა აფხაზეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ბოლო მოუღონ ამ უმსგავსოებას თამბაქოს სამუშაოებში.

ასეთივე მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიონულ კომიტეტსა და რაიაღმასკომს. ლაგოდეხის რაიონს თამბაქოს დარგვის გეგმა შესრულებული აქვს 60,9 პროცენტით. ჩამორჩა პირველი გათოხნაც. ხოლო ფარდულების მშენებლობა მთლიანად თვითდინებაზეა დაყრდნობილი.

განა უდარდელობის შედეგი არ არის ის, რომ გურჯაანის რაიონს თამბაქოს რგვის ამ გახურებული მუშაობის დროს 60 ჰექტარი თამბაქოს ნერგი აკლია? რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ღია კვლებში დათესილ თამბაქოს არ მოუარეს. უპასუხისმგებლობისა და უდარდელობის შედეგად თამბაქოს ნერგები დაიღუპა. რამდენიმე კოლმეურნეობას თამბაქოს ნერგები არ გააჩნია. რაიმიწგანის გამგე ამხ. დოლიძე ამას დამშვიდებული შესცქერის და არ ღებულობს გადამწყვეტ ზომებს სამარცხვინო მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაიმიწგანი არ უწევს კონტროლს ფარდულების მშენებლობას. ეს სამუშაო მინდობილი აქვთ მეორეხარისხოვან მუშაკებს. იბადება კითხვა. ნუთუ გურჯაანის ხელმძღვანელი მუშაკები ამ სამარცხვინო მდგომარეობას დღემდე ვერ ამჩნევენ?

მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს ყვარლის რაიონში. რაიმიწგანის გამგეს ამხ. ტალახაძეს ასეთი მდგომარეობა რატომღაც არ აღელვებს.

ორიოდე სიტყვა ბორჩალოსა და ლუქსემბურგის რაიონებზე. იქ თამბაქოს კულტურა ახალია. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. უკანასკნელად შემჩნეულია, რომ ბორჩალოსა და ლუქსემბურგში შეანელეს ტემპები. ბორჩალოს რაიონს დარგვის გეგმა შესრულებული აქვს 43,9 პროცენტით, ლუქსემბურგისას—40-ით. მივიწყებულია თამბაქოს რგვა ერთპიროვნულ მეურნეობებში. სავალალოა ის მდგომარეობა, რომ ბორჩალოს რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. საფაროვი) ნერგი არ გააჩნია საკმაო რაოდენობით. დამახასიათებელია, რომ ასეთი ამბავი ხდება რაიონული ორგანიზაციების ცხვირწინ. საქ. კ. პ. (ბ) ბორჩალოსა და ლუქსემბურგის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან და მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას თამბაქოს სამუშაოებში.

გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ რგვისა და პლანტაციების გათოხნის ტემპები. გეგმები უნდა შესრულდეს ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება სავსებით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ადგილებზე ბოლოს მოუღებენ თვითდინებას თამბაქოს სამუშაოებში და წუწუნს უამინდობაზე. ძვირფასია არა მარტო დღეები, არამედ ყოველი საათი—აი რა უნდა იქნას მტკიცედ შეთვისებული.

„1937 წელს საქართველოში თამბაქო დაიჭერს 20.800 ჰექტარს. სახელმწიფო გეგმის მიხედვით თვითეულ ჰექტარზე უნდა მივიღოთ 8,7 ცენტნერი თამბაქო. ეს გეგმა გადამეტებით უნდა შესრულდეს, თამბაქოს ხარისხი საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს, რისთვისაც გვაქვს ყოველგვარი შესაძლებლობა“. მეთამბაქოობის რაიონების პარტიული ორგანიზაციების ვალია დარაზმონ მასები ამხ. ლ. ბერიას ამ საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად. კომუნისტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ თამბაქოს უხვი მოსავლისათვის ლაშქრობას და გვიჩვენონ ნამდვილი ოპერატიული მუშაობის ფხა და უნარი. თამბაქოს მაღალი მოსავლის ბედი ახლა წყდება.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 29 მაისი (საქდესი). 25 მაისს შესდგა საკ. კ.პ.(ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საიდუმლო კენჭისყრით აირჩია საკ. კ.პ.(ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები და საკ. კ.პ.(ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიურო.

მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი** მეორე მდივნად — ამხ. **ა. ა. ვოლკოვი,** მესამე მდივნად — ამხ. **ა. ნ. ბოგომოლოვი.**

საკ. კ.პ.(ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებად არჩეული არიან ამხ. **ხრუშჩოვი, ვოლკოვი, ბოგომოლოვი, ბულგანინი, კოგანი, ტარასოვი, სიმოჩკინი, ა. ვ. ოსიპოვი, დედიკოვი.**

საკ. კ.პ.(ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხ. **პროტოპოპოვი, ერმოლენკო** და **ნ. ი. ოსიპოვი.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

დაკლებულია პირსაბანი საპნის ფასები

მოსკოვი, 29 მაისი (საქდესი). ა. წ. 1 ივნისიდან ტარდება ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის, მათ შორის მთელი რიგი საპარფიუმერიო საქონლის ფასების დაკლება. ამის დამატებად სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა დაკლებულ იქნეს ა. წ. 1 ივნისიდან პირსაბანი საპნის საცალო ფასები, საშუალოდ 15 პროცენტით.

◇ ◇ ◇

ხაიასის მთავრობა გადადგა

ტოკიო, 31 მაისი (საქდესი). დღეს ხაიასის მთავრობამ სასწრაფო სხდომაზე დაადგინა გადადგეს.

იმპერატორმა მიიღო მთავრობის გადადგომა. ამის შემდეგ შესდგა მინისტრთა საბჭოს ახალი საწრაფო სხდომა, რომელზედაც დამტკიცებულია მთავრობის განცხადების ტექსტი, სადაც აღნიშნულია გადადგომის მოტივები.

ხაიასის მთავრობის უკანასკნელ აქტს მის გადადგომამდე წარმოადგენდა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრ გოდოს, ფინანსთა მინისტრ იუკის, აგრეთვე ყოფილ პრემიერ ხიროტას დანიშვნა ზედა პალატის წევრებად.

ჩვეულებისამებრ, იმპერატორმა წინადადება მისცა კაბინეტს დარჩენილიყო ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობის შედგენამდე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს— ამხანაგ სტალინს

უკრაინის ბოლშევიკები, შეიკრიბნენ რა თავიანთ XIII ყრილობაზე, თავის მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს უძღვნიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ.

საბჭოთა უკრაინამ, ბოლშევიკური პარტიის და პირადად თქვენი, ამხანაგო სტალინ, ხელმძღვანელობით, მთელს საბჭოთა კავშირთან ერთად განვლო თავისი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ზრდის სახელოვანი გზა.

უკანასკნელი წლები საბჭოთა კავშირისათვის იყო სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე—მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურულ ფრონტზე ახალ გამარჯვებათა წლები.

უკრაინა გადაიქცა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის რესპუბლიკად. გაიზარდა მუშათა კლასი, გამოიზარდნენ ინჟინერ-ტექნიკური კადრები უკრაინის მკვიდრი მოსახლეობიდან.

მოხდა უკრაინის კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ უაღრესად მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით-ტრაქტორებით, კომბაინებით, ავტომანქანებით შეიარაღებული კოლმეურნეობანი, რომლებმაც კოლმეურნე მასებიდან ათი ათასობით ორგანიზატორები, ტრაქტორისტები, კომბაინერები წამოაყენეს, აგროტექნიკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

1936 წლის კარგი მოსავლის შემდეგ უკრაინის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ემზადებიან 1937 წლის მაღალი მოსავლის აღებად.

საბჭოთა უკრაინის ქარხნებსა და შახტებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე ჩაისახა სტახანოვური მოძრაობა.

სამეურნეო მშენებლობის გამარჯვებებმა უზრუნველჰყვეს უკრაინის საბჭოთა კულტურის-მეცნიერების, სკოლის, თეატრის, ხალხური შემოქმედების ნამდვილი აყვავება.

და მით უფრო მეტი სიმწვავით ვგრძნობთ ჩვენ, უკრაინის ბოლშევიკები, და შეგნებული გვაქვს, თუ რა მძიმე დანაშაული მიგვიძღვის ჩვენ იმაში, რომ არ შევასრულეთ თქვენი, ამხანაგო სტალინ, მითითებანი მტერთან ბრძოლის შესახებ ახალ პირობებში, მისი შენიღბვისა და თვალთმაქცობის ახალი ტაქტიკის პირობებში.

ტროცკისტი ბანდიტები, ფაშისტთა ეს მზვერავები და დივერსანტები, ისარგებლეს რა ჩვენი უდარდელობითა და უზრუნველობით, უკრაინის ცალკეული ოლქების ხელმძღვანელთა სიბრმავით, გაძვრნენ პარტიულ აპარატში, სამეურნეო ხელმძღვანელ პოსტებზე, საბჭოთა ორგანოებში და მტკიცედ მოიკალათეს კიევის პარტიულ ორგანიზაციებში.

მთელი რიგი წლების განმავლობაში იწეოდნენ ისინი თავიანთ მავნებლურ დამრღვეველ მუშაობას მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში და კულტურულ ფრონტზე.

ახლა, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ეს ბანდიტები გამოაშკარავებული, გამომჟღავნებული და განადგურებული არიან, კიდევ უფრო ნათელია მათი მავნებლური მუშაობის ფარგლები. საბჭოთა უკრაინის გამარჯვებანი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, ჩვენ რომ თავის დროზე გამოგვემჟღავნებინა ზინოვიეველ-ტროცკისტი მავნებლები, მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა ბანდის აგენტები.

ამხანაგო სტალინ, ჩვენი ყრილობა შეაჯამებს უკრაინის კ. პ. (ბ)-ში, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგებს, შეაჯამებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნის პირველი ნაბიჯების შედეგებს.

უკრაინის ბოლშევიკებს მტკიცედ ახსოვთ თქვენი მითითება, „რომ თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აშენებული აღმოჩნდეს“.

ჩვენ მთელი ბოლშევიკური შეუპოვრობით მოვკიდებთ ხელს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საქმეს, რათა ამ საფუძველზე წინ წავწიოთ საბჭოთა უკრაინის სოციალისტური მშენებლობა.

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება, ამხანაგო სტალინ, რომ კაპიტალისტური გარემოცვა, „ეს ძალიან რეალური და არასასიამოვნო მოვლენა“—უკრაინის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

ფაშისტი ბანდიტები, მათი მემარჯვენე ტროცკისტი და ნაციონალისტი აგენტები, საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ უკრაინას. ჩვენ გვესმის, რომ, ჩვენ, უკრაინის ბოლშევიკებს, მოგვეთხოვება განსაკუთრებული სიფხიზლე მავნებელთა, ჯაშუშთა, დივერსანტთა მიმართ.

ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რათა მაქსიმალურად გავაძლიეროთ უკრაინის ბოლშევიკთა სიფხიზლე და გამჭრიახობა და ამ სიფხიზლითა და გამჭრიახობით შევაიარაღოთ პარტიის ყველა წევრი, ყველა მშრომელი. ეს ყველაზე საიმედო საშუალებაა ტროცკისტ და მემარჯვენე თვალთმაქცთა ლიკვიდაციისათვის.

ჩვენ დაუნდობლად ვიბრძოლებთ უზრუნველობის, მედიდურობის, თვითდამშვიდების წინააღმდეგ და, პიროვნებათა მიუხედავად კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლიერების საფუძველზე, ავამაღლებთ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, კომკავშირული, პროფესიული ორგანიზაციების მუშაობის ხარისხს.

ჩვენ ქვაკუთხედად გავხდით პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების პოლიტიკური განათლებისა და ბოლშევიკური გამოწრთობის ამოცანას, ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანას.

როგორც ჩვენი პარტიის საიმედო შვილნი, ლენინ-სტალინის საქმის ბოლომდე ერთგულნი, ჩვენ სიტყვას ვაძლევთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ყოველივე ღონეს ვიხმართ, რათა გამოვააშკარავოთ, გამოვამჟღავნოთ, ბოლომდე მოვსპოთ მემარჯვენე-ტროცკისტი და ნაციონალისტი ქვეწარმავლები, გესტაპოს და პოლონელ ფაშისტთა აგენტები.

ჩვენ ყოველივე ღონეს ვიხმართ, რათა უკრაინის კ. პ. (ბ) მიდიოდეს საკ. კ. პ. (ბ) პირველ რიგებში, რომ საბჭოთა უკრაინა იყოს საბჭოთა კავშირის საუკეთესო შემადგენელი ნაწილი.

ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობას.

გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს ბელადს, მასწავლებელს, დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელს ამხანაგ სტალინს!

კიევი, 29 მაისი.

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(სსრ კავშირის დეპ. სააგ. ცნობების მიხედვით)

ბისკაის ფრონტი

როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, ოფიციალურ ცნობაში, რომელიც 28 მაისს საღამოს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ბისკაის ფრონტზე რესპუბლიკელებმა იერიშის შედეგად დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე პოზიცია. მეამბოხეებმა დიდი ზარალი ნახეს. რესპუბლიკელთა არტილერიამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა ავანგარდ ნაწილებს ხატას მთის სექტორში.

ორდუნიის სექტორში ბრძოლები გრძელდება და რესპუბლიკელთა ძალებმა მეამბოხეებს დიდი ზარალი მიაყენეს.

რესპუბლიკელთა ავიაცია ამ ოპერაციაში თანამშრომლობდა სახმელეთო ჯარებთან.

სანტანდერის ფრონტი

მოწინააღმდეგის თვითმფრინავები ცდილობდნენ ყუმბარები დაეშინათ სანტანდერისათვის, მაგრამ მთავრობის თვითმფრინავების გამოჩენისთანავე გაიქცნენ.

ასტურიის ფრონტი

როგორც ჰავასის სააგენტო ბილბაოდან გადმოგვცემს, უბნის მალლობის რაიონში რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა გაააფთრებული იერიში.

არაგონიის ფრონტი

ჰავასის სააგენტოს მიერ მადრიდიდან გადმოცემული ოფიციალური ცნობის თანახმად, რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს კინტოში. განადგურებულია 2 ქვემეხი.

როგორც ჰავასის სააგენტო ვალენსიიდან გადმოგვცემს, თავდაცვის სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ 28 მაისს რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა პოზიციებს უესკის და ბელჩიტის რაიონში. მთავრობის თვითმფრინავებმა აგრეთვე ყუმბარები დაუშინეს ფეთქად ნივთიერებათა ქარხანას საბინიანიგოში. ქარხანა მთლად დაინგრა.

ცენტრალური ფრონტი

მთავრობის თვითმფრინავების ორმა ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა აეროდრომს სორიაში, სადაც იმყოფებოდა მოწინააღმდეგის 50 თვითმფრინავი. ამ თვითმფრინავთა დიდი ნაწილი მოსპობილია.

სხვადასხვა ფრონტზე მეამბოხეთა ჯარისკაცები გადადიან რესპუბლიკელთა მხარეზე.

ნეგრინმა მიიღო მუშათა საყოველთაო კავშირის წარმომადგენლები

ვალენსია, 30 მაისი (საქდესი). გუშინ პრემიერმა ნეგრინმა მიიღო მუშათა საყოველთაო კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია. კომისიამ ნეგრინს გადასცა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, რომ მუშათა საყოველთაო კავშირი მხარს დაუჭერს ახალ მთავრობას იმავე ლოიალობითა და ენტუზიაზმით, როგორითაც იგი მხარს უჭერდა წინანდელ მთავრობას.

მუშათა საყოველთაო კავშირი მხარს უჭერს ნეგრინის მთავრობას

ვალენსია, 29 მაისი (საქდესი). მუშათა საყოველთაო კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე 24 ხმით 14 ხმის წინააღმდეგ დაადგინეს, დახმარება გაუწიონ ესპანეთის ახალ მთავრობას და გაჰკიცხონ მუშათა საყოველთაო კავშირის აღმასკომის პოზიცია, რომელიც მიმართულია ნეგრინის მთავრობის წინააღმდეგ.

„მადრიდის საპატიო ორდენი“

ვალენსია, 28 მაისი (საქდესი). ესპანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ახალი „მადრიდის საპატიო ორდენის“ რეგლამენტი. ამ ორდენით დაჯილდოვებული იქნებიან ის პირნი, რომლებიც გმირულ აქტებს ჩაიდენენ ომის დროს.

გერმანიის ჯავშნოსან „დეიჩლანდის“ ირგვლივ მომხდარი ინციდენტი

პარიზი, 31 მაისი (საქდესი). როგორც გუშინ ესპანეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყებოდა, მთავრობის ორმა თვითმფრინავმა, მიფრინავდნენ რა ივისის ნავსადგურზე (ბალიარის კუნძულები), ყუმბარები დაუშინა ლუზაზე მდგარ სამხედრო ხომალდს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა სრულიად უსაბაბოდ ძლიერი სროლა აუტეხა თვითმფრინავებს. ეს სამხედრო ხომალდი აღმოჩნდა გერმანიის ჯავშნოსანი „დეიჩლანდი“ და არა ჯავშნოსანი „ადმირალ შეერი“, როგორც გუშინ იუწყებოდნენ.

გერმანიის ჯარების გადმოსხმა სან-სებასტიანში

ლონდონი, 28 მაისი (საქდესი). უპასუხებდა რა თემთა პალატაში მიღებულ შეკითხვაზე, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კრენბორნმა განაცხადა, რომ, როგორც ინგლისის ვიცე-კონსული იუწყება, სან-სებესტიანში (ბისკაის ყურის ესპანეთის სანაპიროზე) დაახლოვებით აპრილის დამლევს ნაპირზე გადმოსხეს 1.500 გერმანელი.

შეაჩერეს ტროცკისტული „ლა ბატალიას“ გამოსვლა

ვალენსია, 29 მაისი (საქდესი). ბარსელონის პროკურორის განკარგულებით შეჩერებულია ტროცკისტული ფურცლის „ლა ბატალიას“ გამოსვლა.

უზბეკთა ხელოვნების დეკადა უდიდეს წარმატებით ჩატარდა

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, იკრამოვი და კერჟენცევი.

მოსკოვი, 31 მაისი (საქდესი). ათ დღეს დედაქალაქის საბჭოთა საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების ყურადღება მიპყრობილი იყო უზბეკთა ხელოვნების დეკადისადმი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა. უზბეკთა სახელმწიფო მუსიკალური თეატრის ყველა წარმოდგენა და უზბეკთა სახელმწიფო ფილარმონიის ანსამბლების ყველა გამოსვლა უდიდესი წარმატებით მიდიოდა. მომღერლებმა, მუსიკოსებმა, მოცეკვავეებმა უზბეკთა ხალხის ხელოვნების ოსტატთა საუკეთესო წარმომადგენლებმა გვიჩვენეს ამ დღეებში თავიანთი შესანიშნავი გამარჯვებანი, რაც მათ მოიპოვეს კულტურულ ფრონტზე დიადი სოციალისტური რევოლუციის წლების განმავლობაში.

უზბეკთა ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული იყო უკანასკნელი კონცერტი, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში. მასში მონაწილეობა მიიღო უზბეკთა სახელმწიფო მუსიკალური თეატრისა და უზბეკთა სახელმწიფო ფილარმონიის ყველა მსახიობმა.

პარტერი, ლოჟები, იარუსები გაჭედილი იყო. ამ კონცერტს, რომელიც უზბეკისტანის ხელოვნებათა ოსტატებმა არაჩვეულებრივი შემოქმედებითი აღფრთოვანებით ჩაატარეს, დაესწრნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, იკრამოვი და კერჟენცევი.

კონცერტის პროგრამა განსაკუთრებული მრავალფეროვანებით განირჩეოდა. მშვენიერი ხალხური სიმღერები სცვლიდნენ მეტად ლამაზ და რიტმულ ცეკვებს. მაყურებლები მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ შესანიშნავ მოცეკვავე ქალს — უზბეკთა სს რესპუბლიკის — სახალხო არტისტს თამარ ხანუმს, რომელიც გამოვიდა „კატა უიუნის“, „ზანგის“ „პილიას“ (აბრეშუმის ჭია) და ხორეზმის ცეკვებში. მქუხარე წარმატება ხვდა წილად ბალეტის სოლისტ — ქალს მუქარამ ტურგუნბაევას, რომელმაც ოსტატურად შეასრულა ცეკვა „პახტა“ (ბამბა) დაირის აკომპანიმენტით, რასაც ვირტუოზულად უკრავს შრომის გმირი უსტა-ალიმ ქამილოვი. დიდი ინტერესი გამოიწვია უზბეკთა ბალეტის ტექნიკუმის მოწაფეთა გამოსვლამ, რამაც შესაძლებლობა მისცა მაყურებლებს გასცნობოდნენ უზბეკთა ახალგაზრდა მოცეკვავეთა მუშაობას ევროპულ ცეკვებზე.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე სამხედრო ცეკვამ „პუხტუნმა“ წარმოდგენა „ფარხად და შირინიდან“. ცეკვის შემსრულებლებმა გვიჩვენეს იატაგანის ხმარების მშვენიერი ტექნიკა.

მაყურებლებმა მხურვალე შეხვედრა გაუმართეს უზბეკთა სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს კარი იაკუბოვს, უზბეკთა სს რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობ — ქალს ხალიმ ნასიროვას და სოლისტს ქარიმ ზაქიროვს. ხანგრძლივი ტაში გამოიწვია ხალხურმა სომხურმა სიმღერამ, რაც დიდის აღფრთოვანებით შეასრულა სომხურ ენაზე ხალიმ ნასიროვამ. უდიდესი წარმატებით აღინიშნა ცნობილი სიმღერის „პოლიუშკო პოლეს“ შესრულება, რომელიც მშვენივრად იმღერა რუსულ ენაზე მუსიკალური თეატრისა და ფილარმონიის გაერთიანებულმა გუნდმა.

კონცერტმა უმაღლეს აღფრთოვანებას მიაღწია მეორე განყოფილების დასასრულს, რომელიც დამთავრდა ცეკვებით წარმოდგენა „გულსარის“ ფინალური სცენიდან და სიმღერით „ბელადს“, რომელიც ადიდებს დიადს სტალინურ ეპოქას. დარბაზში დიდხანს გრიალებდა ტაში, რაც მქუხარე ოვაციად იქცა. უზბეკთა ხელოვნების დეკადის მონაწილენი თეატრში მყოფ ყველა მაყურებელთან ერთად აღფრთოვანებით მიესალმნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთ.

რადიო დაზამთრების მოდრეიფე ადგილიდან

მოსკოვი, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს, საკ. დეპ. სააგენტოს, „პრავდას“, „იზვესტიას“

ჩრდილოეთის პოლუსი, 29 მაისი, 23 საათი (რადიო) (საქდესი). 29 მაისს თვითმფრინავით „ნ-171“ მოლოკოვი და შეველიოვი დაფრინავდნენ მაზურუკის საძებნელად, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს.

ბოლოს 20 საათზე დამყარდა ორმხრივი კავშირი. ბანაკში მყოფ ჩვენს თვითმფრინავებსა და მაზურუკის თვითმფრინავს შორის. აღმოჩნდა, რომ ის ძალიან ახლოს იყო. მოლოკოვმა ვერ შესძლო მისი აღმოჩენა, ვინაიდან მაზურუკის თვითმფრინავი იმ დროს ნისლით იყო დაბურული. მაზურუკის თვითმფრინავი რიგზეა, ხალხი ჯანმრთელად არის, ყინული მაგარია. აქამდე ის არ აფრენილა, ვინაიდან თავისი 6 კაცით იგი მხოლოდ ხვალ დაამთავრებს აეროდრომის გაწმენდას. ამის შემდეგ, თუ კარგი დარი იქნა, დაუყოვნებლივ მოფრინდება.

ო. ი. შმიდტი.

პოლუსის რაიონში

ამხ. მოლოკოვის გაფრენის დაწვრილებითი ცნობები

მოსკოვი, 30 მაისი (საქდესი). ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის უფროსის მოადგილის ამხ. მ. ი. შეველიოვისაგან ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში მიღებულია რადიოგრამა, სადაც იტყობინება ამხ. მოლოკოვის საჰაერო ხომალდის „ნ-171“ ფრენის დაწვრილებით ცნობებს. ეს ხომალდი ეძებდა მაზურუკის თვითმფრინავს.

დაბალი ღრუბლიანობისა და ჰურგის შემდეგ ამინდი პოლუსზე მკვეთრად გაუმჯობესდა. საჰაერო ხომალდი „ნ-171“ გატარებული იქნა სამკუთხედზე, რომლის შუა ხაზი შემდეგ კოორდინატებს შორის იმყოფებოდა: განედის 89 გრადუსი და 10 წუთი, დასავლეთის გრძედის 36 გრადუსი და განედის 89 გრადუსი და 30 წუთი, დასავლეთის გრძედის 105 გრადუსი.

30 მილიან ზოლში ამ ხაზის ჩრდილოეთით არაფრის აღმოჩენა არ მოხერხდა. ათ მილზე სამხრეთით ნისლის კედელი იყო აღმართული. ამ საბურველს ქვეშ, როგორც ეტყობა, უნდა ყოფილიყო მაზურუკის თვითმფრინავი „ნ-169“.

მოლოკოვის თვითმფრინავი აფრინდა 16 საათსა და 40 წუთზე და დაეშვა მიწაზე 17 საათსა და 35 წუთზე.

ჰაერში ხომალდი მიდიოდა რადიოკომპასით, იღებდა ორიენტაციას მ. ვ. ვოდოპიანოვის თვითმფრინავის რაციაზე. კომპასი ჩინებულად მუშაობდა.

ფრენის დროს უეცრად ეთერში აღმოაჩინეს მაზურუკის ხომალდის სიგნალები. ეს ხომალდი მუშაობდა 625 მეტრიან ტალღაზე. თვითმფრინავი „ნ-171“ ყურს უგდებდა სიგნალებსა და გამოარკვია, რომ მაზურუკის რაცია მდებარეობს ახლოს, არა უშორეს 60 კილომეტრისა. მაზურუკი პოლარული რადიოცენტრის საშუალებით დიქსონზე გაფრთხილებული იყო, რომ „ნ-171“-ის რაცია ისმენს მის გამოწვევას.

ბოლოს დამყარდა უშუალო კავშირი რმ-რკ-ს შორის (მოლოკოვის თვითმფრინავი—მაზურუკის თვითმფრინავი).

მაზურუკის ხომალდიდან მოვიდა ცნობა, რომ ადამიანები ყველანი ჯანმრთელად არიან, მხნედ ჰგრძნობენ თავს, რომ ისინი 30 მაისს ამთავრებენ აეროდრომის გაწმენდასა და პირველსავე საფრენ ამინდში გამოფრინდებიან „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურზე. თვითმფრინავის კოორდინატები მზიანი საფრენი ამინდის უქონლობის გამო მაზურუკმა ვერ მისცა.

„სსსრ ნ-169“ იძვრის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მოგვარებულია ორმხრივი კავშირი მაზურუკის ბანაკთან

30 მაისს გვიან საღამოს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ მიიღო რადიოგრამა, რომელიც გამოგზავნილია 19 საათსა და 30 წუთზე პოლარულ სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსიდან“. ექსპედიციის უფროსის მოადგილემ ამხ. შეველიოვმა განაცხადა:

„დღეს რკ-მა (მაზურუკის თვითმფრინავი) მოაწესრიგა თავისი აპარატურა. დამყარებულია მტკიცე ორმხრივი კავშირი რადიოტელეფონით სმენადობა საკმარისია ხმამაღლა მოლაპარაკეზე მისაღებად. მაზურუკმა გვაცნობა: „გავაკეთეთ აეროდრომი 700×50 მეტრზე“. ამინდი ასეთია: ხილვადობა 2—4 კილომეტრი, დაბალი ღრუბლიანობა. ამიტომ გაფრენა შეუძლებელია. ამინდის გაუმჯობესებისთანავე მაზურუკთან შესაძლოა გაფრინდეს „სსსრ ნ-171“, რათა დაეხმაროს აეროდრომისს გადიდებაში და ამით გაუადვილოს აფრენა.

რუდოლფის კუნძულზე ქარიშხალი და პურგაა. ბანაკში დღისით მზე ამოვიდა. ყოველგვარი სამუშაო დამთავრებულია. მას შემდეგ, რაც ჩვენთან მაზურუკი მოფრინდება, ჩვენ მზად ვიქნებით უკანვე გასაფრენად, როგორც კი ამინდი დადგება. **შეველიოვი**“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ ამხ. შეველიოვისაგან მიიღო მეორე რადიოგრამა, რომელიც გამოგზავნილია სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსიდან“ 19 საათსა და 50 წუთზე. ამ რადიოგრამაში ნათქვამია: „სსრ ნ-169“ დაიძრა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. დღეს მისი კოორდინატებია: განედის 89 გრადუსი და 2 წუთი, გრძედის 93 გრადუსი. მანძილი ჩვენამდე 48 მილი. **შეველიოვი**“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა

ესპანეთის წარმომადგენლის ალვარეს დელ ვაიოს გამოსვლა

ჟენევა, 29 მაისი (საქდესი). გუშინ ერთა ლიგის საბჭოს საღამოს სხდომაზე გამოვიდა ესპანეთის წარმომადგენელი ალვარეს დელ ვაიო, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო იმის მითითებით, რომ ჯერ კიდევ 1936 წლის დეკემბერს ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობამ მოითხოვა ერთა ლიგის საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევა, რათა ყურადღება მიექცია ომის სერიოზულ საფრთხეზე, ესპანეთის მდგომარეობის შედეგად რომ შეიქმნა:

მას შემდეგ, განაგრძობს ალვარეს დელ ვაიო, გაძლიერდა იტალია-გერმანიის ინტერვენცია, რაც გამოიხატა ესპანეთის წინააღმდეგ იტალიის აშკარა აგრესიაში და რამაც გამოიწვია გვადალახართან ბრძოლა. ამასთან ერთად ძალაში შევიდა კონტროლის სისტემა, რომელიც ასეთი კატასტროფიული ნელი ტემპებით შეიმუშავა ლონდონის კომიტეტმა.

70 თუ 80 ათასი იტალიელი შეიჭრა სუვერენულ დამოუკიდებელ ქვეყანაში იმ მიზნით, რომ ცეცხლითა და მახვილით გაიკაფოს გზა დედაქალაქისაკენ, რომელშიაც რამდენიმე წლის წინათ იკრიბებოდა ერთა ლიგის საბჭო. ჩვენ საბჭოს წევრებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის საყურადღებოდ გამოვეცით „თეთრი წიგნი". იგი შეიცავს იმ დოკუმენტთა მხოლოდ მცირე ნაწილს, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება.

ერთა ლიგის წევრის ტერიტორიაზე ამ დანაშაულებრივმა შესევამ, ჩადენილმა მეორე სახელმწიფოს მიერ, რომელიც აგრეთვე შებოჭილია ერთა ლიგის წესდებით, განაცხადა ალვარეს დელ ვაიომ, ჯერჯერობით მიიღო მხოლოდ ერთი პასუხი: ეს პასუხი გასცეს რესპუბლიკის არმიის გმირმა ჯარისკაცებმა. მე არ შემიძლია არ ვიკითხო, დასძინა ალვარეს დელ ვაიომ,—იქნებ ერთა ლიგამაც გასცეს თავისი პასუხი?

ესპანეთის მთავრობამ, განაგრძობს ალვარეს დელ ვაიო, თავის დროზე სთხოვა ინგლისის მთავრობას დააყენოს ჩაურევლობის კომიტეტის წინაშე გერნიკის განადგურების გარემოებათა გამოძიების საკითხი: ეს თხოვნა დღემდეც ძალაში რჩება.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ მალაგიდან გაქცეულ ათასობით მოქალაქეთა დახვრეტა ფაშისტების მიერ და ათობით ქალებისა და ბავშვების ყოველდღიური მკვლელობა მადრიდის ქუჩებში—ყოველივე ეს ისეთივე დანაშაულია, როგორც გერნიკის დანგრევა. მაგრამ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს გერნიკში მომხდარ ამბებს იმიტომ, რომ ამ მხეცობამ მთელი მსოფლიოს მხურვალე პროტესტი გამოიწვია.

ალვარეს დელ ვაიომ გამოსთქვა შიში, რომ ინტერვენტები შეეცდებიან გამოიყენონ მხრჩოლავი გაზები ბილბაოში შესაჭრელად.

შემდეგ იგი შეჩერდა ესპანეთიდან უცხოეთის ყველა ჯარის გაწვევის საკითხზე. „ესპანეთის მთავრობამ,—თქვა ალვარეს დელ ვაიომ, განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ამას. თუმცა მორალურად ძალიან ძნელია დავეთანხმოთ იმას, რომ ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ადამიანთა ორი კატეგორია მოვათავსოთ „მოხალისეთა" საერთო რუბრიკაში. ისინი, რომელნიც ჩამოვიდნენ იმ ქვეყნებიდან, სადაც ნებისყოფის ყოველგვარი თავისუფალი გამოხატულება დათრგუნვილია ტოტალიტარული რეჟიმების რკინის ტირანიით, ფორმალურადაც კი მოხალისეები არ არიან. „თეთრი წიგნი" აშკარად ადასტურებს, რომ ისინი ეკუთვნიან რეგულარული არმიის ნაწილებს.

მეორეს მხრივ, ნამდვილი მოხალისეები ჩამოვიდნენ იმისათვის, რათა იბრძოლონ რესპუბლიკური არმიის რიგებში, ვინაიდან მათ კარგად ესმოდათ, რომ ესპანეთის ბრძოლის ველებზე სწყდება ევროპის მომავლის ბედი და ყველა თავისუფალი ადამიანის ბედი".

დასასრულ ალვარეს დელ ვაიო შეჩერდა ესპანეთის ამბებისადმი თვით ერთა ლიგის დამოკიდებულების საკითხზე:

„ესპანეთის მთავრობა, — სთქვა მან,—ლოიალური რჩება ერთა ლიგის მიმართ. იმ უსამართლობას, რომლის მსხვერპლსაც წარმოადგენდა ესპანეთი ამდენი თვის განმავლობაში, არ შეუცვლია მისი დამოკიდებულება ერთა ლიგის წესდებისადმი. მაგრამ ესპანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ საბჭო ჩაიდენდა სერიოზულ—და შეიძლება გამოუსწორებელ—შეცდომას, ზოგიერთი მოსაზრების გამო უარი რომ ეთქვა მტკიცე პოზიციის დაკავებაზე და იმ ღონისძიებათა მიღებაზე, რომლებსაც გვიკარნახებს წამოჭრილი პრობლემების ტრაგიკული სერიოზულობა.

ესპანეთის საკითხის გარდა არსებობს თვით ერთა ლიგის საკითხი. იმისათვის, ერთა ლიგამ თავისი თავი რომ გადირჩინოს, უნდა დაიკავოს ნათელი და მტკიცე პოზიცია ესპანეთის საკითხში. იქნებ ეს უკანასკნელი შესაძლებლობაა ერთა ლიგისათვის".

„მე ვფიქრობ,—დაამთავრა ალვარეს დელ ვაიომ,—ჩვენ, ესპანელებმა, დავამტკიცეთ, რომ ვიცით, თუ როგორ უნდა მოვალეობის შესრულება; ჩვენ ვიბრძვით არა მარტო ჩვენი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, არამედ იმ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვისაც, რომლებსაც არ სურთ გახდნენ ტოტალიტარული ტირანიის მსხვერპლი. რა რიგ დიდი და მძიმე უნდა იყოს მსხვერპლი,—ჩვენ ბოლომდე შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

ამით ჩვენ მოვიხდით ჩვენს ვალს როგორც ერთა ლიგის წევრები, რომელთათვისაც ლიგის წესდება კანონს წარმოადგენს".

შემდეგ გამოვიდნენ საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრები—დელბოსი და იდენი. მათ აღნიშნეს ის დადებითი შედეგები, რომლებსაც ვითომდა მიაღწია ჩაურევლობის კომიტეტმა, და მოუწოდებს საბჭო დაკმაყოფილდეს იმით, რომ მხარი დაუჭიროს კომიტეტს მის საქმიანობაში, რაც მიმართულია ესპანეთიდან უცხოეთის ჯარების გაყვანისაკენ.

დიდი სიტყვით, რომელმაც ყველა დამსწრეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა ჯორდანმა მოითხოვა, რომ ერთა ლიგის საბჭომ დაადასტუროს ესპანეთში უცხოეთის სახელმწიფოთა შეჭრის ფაქტი, რის შემდეგ ერთა ლიგის საბჭოს სხდომა შესწყდა.

ამის შემდეგ საბჭო შეიკრიბა მცირე შემადგენლობით საიდუმლო თათბირისათვის. არსებული ცნობებით, განიხილეს წინადადებანი, რომლებიც შეეხებოდნენ რეზოლუციას ესპანეთის საკითხზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

ჟენევა, 29 მაისი (საქდესი). გუშინ ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ესპანეთის პატივცემული წარმომადგენლის სიტყვამ და მის მიერ დაგზავნილმა დოკუმენტებმა ამომწურავად გააშუქეს საქმის ფაქტიური მხარე, რომელზეც არა გვგონია საჭირო იყოს შეჩერება. ჩვენს წინაშე სავსებით ცხადი საქმეა, რომელიც შემდგომს შემოწმებასა და გამოძიებას არ მოითხოვს. ჩვენს წინაშეა ერთა ლიგის ერთერთი წევრის ტერიტორიაზე უცხოელთა შეიარაღებული ძალების ძალდატანებითი შეყვანის უდავო შემთხვევა—მეტად უხეში ფორმის აგრესიის შემთხვევა.

უკანასკნელი წლის განმავლობაში, პრაქტიკულ წინადადებათა მიხედვით, გატარებული ზოგიერთი საერთაშორისო აქცია—შეთანხმება ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, კონტროლის დაწესება, დროებითი ზავის წინადადება, მიმართვა მეომარი მხარეებისადმი,—უეჭველად ამახინჯებენ და აბნელებენ საქმის ფორმალურ მხარეს, ჰქმნიან რა შთაბეჭდილებას, თითქოს საქმე ეხებოდეს თანასწორუფლებიან მეომარ მხარეებს. ნამდვილად კი ჩვენს წინაშეა, ერთის მხრივ, უკლებლივ ყველა სახელმწიფოსი და ერთა ლიგის მიერ კანონიერად აღიარებული მთავრობა, შექმნილი ესპანეთის კონსტიტუციისა და დემოკრატიული საარჩევნო უფლების საფუძველზე, მთავრობა, რომელმაც განსახილველი მოვლენის წარმოშობამდე ცოტახნით ადრე მიიღო ესპანელი ხალხის ნდობის ვოტუმი, მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის კანონების დაცვისათვის, წესრიგისათვის, დისციპლინისათვის არმიასა და ფლოტში და ვალდებულია ჩააქროს, თუ საჭირო იქნება ძალით, ყოველგვარი ხელყოფა, მიმართული არსებული წყობილების შეცვლისაკენ, ხელყოფა ხალხის ფართო მასების ინტერესების წინააღმდეგ და ყოველგვარი ამბოხება და არეულობა. მეორე მხრივ,—ერთი მუჭა გენერლები და ოფიცრები, რომელთაც დაარღვიეს თავისი სამხედრო მოვალეობა, რომელნიც აღდგნენ კანონიერი მთავრობისა და ქვეყნის კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელთაც დაიწყეს საომარი მოქმედება, უმთავრესად, მაროკოელთა ჯარების საშუალებით. ნებას მივცემ ჩემს თავს მოვაგონოთ ეს უბრალო, უდავო ფაქტები, რადგან მათ ივიწყებენ. ივიწყებენ, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკიც კი არ შეიძლება მხარეთა თანასწორუფლებიანობაზე. უცხოურ მთავრობებს უფლება აქვთ ურთიერთობა იქონიონ ესპანეთის მთავრობასთან, დასდონ მასთან ყოველგვარი კომერციული გარიგება, მიჰყიდონ მას სამხედრო მასალებიც კი ისე, რომ არავითარი საერთაშორისო ნორმა და ვალდებულება არ დაირღვეს. ურთიერთობა კი მეამბოხე გენერლებთან და მით უფრო მათი მომარაგება სამხედრო მასალით, წარმოადგენს სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის კლასიკურ მაგალითს.

ესპანეთის ამბები რომ შეზღუდული ყოფილიყო შინაური შფოთით, მთავრობის ბრძოლით მეამბოხეთა წინააღმდეგ, მაშინ ერთა ლიგას არა თუ არაფერი ექნებოდა გასაკეთებელი ამ საკითხის ირგვლივ, არამედ ეს ამბები დიდიხანია შესწყდებოდა. ყოველმა მიუდგომელმა კაცმა, რომელიც კი ძალთა განწყობილებას იცნობს, უნდა აღიაროს, რომ ესპანეთის კანონიერი მთავრობა დიდიხანია გაუმკლავდებოდა ამბოხებას, მადრიდი და ესპანეთის სხვა ქალაქები არ იქნებოდნენ გაპარტახებული და განადგურებული და ესპანელ ხალხს არ მოუხდებოდა გამოეტირა ათეული ათასობით დაღუპული მამაკაცები, ქალები და ბავშვები, ესპანეთის ხელოვნებისა და მეცნიერების დაკარგული საუკეთესო წარმომადგენლები. საქმე საერთაშორისო ხასიათს არ მიიღებდა და დიდიხანია დამყარდებოდა წესრიგი არა მარტო ესპანეთში, არამედ არ იქნებოდა დარღვეული საერთაშორისო წესრიგიც.

სამწუხაროდ, გამოქვეყნებული დოკუმენტები ზღვრული სიაშკარავით ამტკიცებენ, რომ თვით ამბოხება გენერლებისა მომზადებული და მოწყობილი იყო უცხოელთა წაქეზებით და უცხოელთა დახმარებით. უფრო მეტი, ამბოხების პირველსავე დღეს მეამბოხეებს საზღვარგარეთიდან ამარაგებდნენ იარაღით, ავიაციით, სამხედრო ინსტრუქტორებითა და მფრინავებით. ამ მომარაგების ფარგლები მოვლენათა განვითარებასთან ერთად სულ უფროდაუფრო დიდდებოდა და მეამბოხეებს დახმარება ეწევა არა მარტო სამხედრო მასალით, არამედ ადამიანებითაც. ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმების დადებას არ შეუწყვეტია ამ დახმარების გაწევა მეამბოხეებისათვის. აჯანყებულთა დასახმარებლად ესპანეთს ათეული ათასობით ჩაიყვდნენ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული უცხოელები, რომელთაგან მრავალი იმყოფებოდა უცხოურ სახელმწიფოთა სამხედრო სამსახურში, და მათგან შეადგინეს ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილები ესპანეთის ტერიტორიაზე. დიდ ბრძოლებს ესპანეთის რესპუბლიკურ არმიასთან ზოგიერთ შემთხვევაში აწარმოებდნენ მხოლოდდამხოლოდ ამ უცხოური ჯარების ნაწილები, უცხოელი გენერლების სარდლობით. ესპანეთის ქალაქებს ყუმბარებს უშენენ უცხოური თვითმფრინავები, რომლებსაც მართავენ უცხოელი პილოტები. მეოთხედი მადრიდი, მთელი ქალაქი გერნიკა და მრავალი სხვა ქალაქი და სოფელი მოსპობილია უცხოელთა ავიაციის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ესპანეთის რესპუბლიკურ არმიას უხდება შეიარაღებული ბრძოლის წარმოება არა იმდენად მეამბოხეთა წინააღმდეგ, რამდენადაც ქვეყანაში შემოსეულ უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. ამრიგად, ლიგის ერთერთი წევრი გახდა უცხოური შემოსევის მსხვერპლი და განიცდის თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დარღვევის საფრთხეს.

მაგრამ საქმე მარტო ესპანეთს როდი ეხება. ესპანეთის ამბებმა ერთერთი უდიდესი საფრთხე შეუქმნეს ევროპისა და საყოველთაო მშვიდობიანობას. ამ საფრთხეს ჰქმნის ევროპის სახელმწიფოს შინაურ საქმეებში შეიარაღებული ჩარევის ცდა, ცდა თავს მოახვიონ ამ სახელმწიფოს ხალხს მისთვის უცხო საშინაო რეჟიმი, უმთავრესად კი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია და ამ ჩარევის საფარით წაართვან ამ ქვეყანას თავისი დამოუკიდებლობა და დაუმორჩილონ იგი სხვა სახელმწიფოთა ფერულას. ამ ცდას რომ წარმატება ხვდეს და მან რომ დაუსჯელად ჩაიაროს, არ იქნება გარანტია, რომ იგი სხვა ქვეყნებშიც არ განმეორდება. არ არის გარანტია, რომ უახლოეს დროშივე არ მოახდენენ ახალ ცდას გამოიწვიონ ამბოხება რომელიმე სხვა ქვეყანაში, აღიარონ აჯანყებულთა ბელადი მთავრობის მეთაურად, შეიყვანონ იქ აჯანყებულთა დასახმარებლად უცხოელთა ჯარები, შეიტანონ უცხოელთა იარაღი და ამრიგად განახორციელონ აგრესია, ინტერვენტი სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკა. ინტერვენციაში თავს იჩენს ტენდენცია, წარსულის რელიგიური ომების მაგალითისამებრ, დაიწყონ ახალი ომების სერია და იდეოლოგიებისა და პოლიტიკური რეჟიმების ბრძოლის საფარით განახორციელონ აგრესიისა და ექსპანსიის პოლიტიკა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესპანეთში აჯანყების დაწყების დროს არსებობდა ისეთი მთავრობა, რომელიც თავისი პროგრამით ემსგავსებოდა მრავალ სხვა ქვეყანაში არსებულ მთავრობებს.

იმ ქვეყნის მთავრობას, რომელსაც მე წარმოვადგენ, თავისი იდეოლოგია აქვს. იგი, რა თქმა უნდა, ძალიან მოხარული იქნებოდა, სხვა ქვეყნებიც რომ განიმსჭვალებოდნენ ამ იდეოლოგიით. მაგრამ იგი არასოდეს არ ცდილა და არც ეცდება რაიმე გზით, მით უფრო ძალდატანებითი გზებით, მოახვიოს თავისი იდეოლოგია სხვა ქვეყნებს. ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ნაკლებად ვიყავით დაინტერესებული იმ წყობილებით, რაც არსებობდა ესპანეთში, რომელთანაც აჯანყების მომენტისათვის ჩვენ, ასე გასინჯეთ, არც დიპლომატიური, არც საკონსულო ურთიერთობა არ გვქონია და სადაც ამ დროს არცერთი საბჭოთა მოქალაქე არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვინდა: ესპანელ ხალხს ახლანდელი მოვლენების დამთავრების შემდეგ შეეძლოს ისე, როგორც ამბოხებამდე, ჰყავდეს ის მთავრობა, რომელიც თვითონ მას სურს და რომელიც მან ნებაყოფლობით აირჩია თავისივე შემოღებული კონსტიტუციის საფუძველზე. ამიტომ მთავრობამ, რომელსაც მე წარმოვადგენ, დასაწყისიდანვე განაცხადა, რომ იგი მხარს დაუჭერს ყოველ აქციას, მიმართულს ყველა არაესპანელი ელემენტის განდევნისაკენ ესპანეთში მეომართა რიგებიდან, რათა იქ მიმდინარე ბრძოლა მარტო ესპანელთა ძალებით გადასწყდეს.

საქმის გარემოებანი სავსებით ამართლებენ ესპანეთის მთავრობის მიმართვას ერთა ლიგისადმი. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ წრეებში ამ მიმართვას აკრიტიკებენ და ჰკიცხავენ კიდეც. არიან ადამიანები, რომელნიც ერთა ლიგის მომხრეებად სთვლიან თავს და რომლებიც ფიქრობენ, თითქოს ერთა ლიგის ცოცხლად შენარჩუნება მხოლოდ იმ პირობით შეიძლებოდეს, თუ მას არავინ არაფერს არ სთხოვს და არაფერს გამოელის და თითქოს ყოველგვარი მიმართვა ლიგისადმი რაიმე სერიოზულ საქმეში ლიგის არსებობის წინააღმდეგ მიმართული ხელყოფა იყოს. ამ ადამიანებს სურთ გადააქციონ ლიგა „უნივერსალურ" მუმიად და დასტკბნენ მისი უძრაობითა და აღუშფოთებელი სიმშვიდით, ესპანეთის მთავრობა, ალბათ, ასე არ ფიქრობს და, პირიქით, იმ აზრისაა, რომ ერთა ლიგა საბოლოოდ მოკვდება, თუ ფიზიკურად არა, მორალურად მაინც, თუ იგი სრულიად უგულებელყოფილი იქნება და განზე დარჩება ისეთი მოვლენების გაშლისას, რომლებიც ამჟამად იბერიის ნახევარკუნძულზე ხდება.

ესპანეთი ეკუთვნის ლიგის პირვანდელ წევრთა რიცხვს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლიგის ყველა მუშაობაში. იგი ლოიალურად ასრულებდა ყველა თავის მოვალეობას როგორც ლიგის წევრი. მას ნახევრადმუდმივი ადგილი უკავია ლიგის საბჭოში და ბოროტად არ გამოუყენებია თავისი ეს პრივილეგია, რათა გამიჯნოდა ერთა ლიგის საერთო გადაწყვეტილებებსა და აქციებს და დაეპირისპირებინა თავისი ინდივიდუალური აზრი ლიგის დანარჩენი წევრების საზოგადოებრივი აზრისათვის. ამიტომ მხოლოდ უნდა გვიკვირდეს ესპანეთის თავდაბლობა და ზომიერება. როცა იგი, მიუხედავად უბედურებისა, რომელიც თავს დაატყდა მისთვის მძიმე ჟამს, არ აწუხებდა ლიგას თავისი მიმართვებით, თუმცა საამისოდ მას სრული ფორმალური და მორალური უფლება ჰქონდა. და თუ ახლა ესპანეთმა,—რომელმაც იცის იმ დახმარების შეზღუდულობა, რასაც იგი შეიძლება ლიგისაგან მოელოდეს, რომელიც არ ეყრდნობა წესდების არცერთ, ამ შემთხვევისათვის შესაფერ მუხლს—მაინც მოგვმართა ამ თავდაბლობით, მე მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ერთა ლიგის საბჭო არა მარტო ესპანეთის ინტერესებისათვის, არამედ საერთაშორისო სამართლიანობისა და მშვიდობიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვისაც, აგრეთვე თვით ლიგის ინტერესებისათვის იტყვის თავის მტკიცე სიტყვას და აღმოუჩენს ესპანელ ხალხს შესაძლო მაქსიმალურ დახმარებას".

ჩაურევლობის კომიტეტის სხდომა

ლონდონი, 29 მაისი (საქდესი). ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე უნდა განხილულიყო ესპანეთის ორივე მხარისადმი მოწოდების პროექტი ომის „ჰუმანიზაციის" შესახებ. მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარემ კაპიტანმა უოლესმა, რომელიც სცვლის ბალტიის ქვეყნებში სადარბაზოდ წასულ ლორდ პლიმუტს, წინადადება შემოიტანა, ჯერ სასწრაფოდ განეხილათ იტალიელების მიერ აღძრული საკითხი უკანასკნელ დღეებში პალმასთან (მაიორკის კუნძული) მომხდარი ინციდენტების შესახებ. გრანდიმ გამოაქვეყნა განცხადება, რომ 24 და 26 მაისს ესპანეთის მთავრობის 5 ყუმბარმტყორცნმა, თითქოს, წინასწარი განზრახვით შეუტია იტალიის სამხედრო გემებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონტროლში და იმ დროს იმყოფებოდნენ რეიდზე პალმის ახლოს. გრანდის განცხადებით, 26 მაისის საჰაერო ბომბარდირებით მოკლულია 6 ოფიცერი და დაჭრილია რამდენიმე კაცი, მათ შორის იტალიის ერთი გემის მეთაური. იმოწმებდა რა ინგლისის ნაღმოსნის „ჰარდის" მეთაურს, რომელიც ამ საჰაერო შეტაკების მოწმე იყო, გრანდი კომიტეტისაგან მოითხოვდა ენერგიულ ღონისძიებათა მიღებას და მუქარით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფაშისტური მთავრობა თავის ინტერესებსა და თავის დროშას დაიცავს საკუთარი ძალებით.

კომიტეტის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ბრიტანეთის გემი „ჰარდი" იმ დროს პალმაში იმყოფებოდა, და რომ ინციდენტთან დაკავშირებით ბრიტანეთის წარმომადგენელმა ვალენსიაში თხოვნით მიმართა ესპანეთის მთავრობას გამოჰყოს უშიშარი ზონა პალმასთან ახლოს უცხოეთის გემებისათვის, რომლებიც ასრულებენ კონტროლის ფუნქციას კომიტეტის დავალებით. თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას განზრახული არ აქვს წინადადება შეიტანოს კომიტეტში ოფიციალური პროტესტის განსაცხადებლად, სთვლის რა, რომ ასეთი პროტესტები უნდა გამომდინარეობდეს დაინტერესებული მთავრობებისაგან. გერმანიისა და პორტუგალიის წარმომადგენლები მოითხოვდნენ ოფიციალურ პროტესტს კომიტეტის სახელით. პორტუგალიის წარმომადგენელი მოითხოვდა „უფრო მეტ ენერგიულ ღონისძიებათ". თავმჯდომარემ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც თუმცა თავისი ფორმულირებით პროტესტს არ წარმოადგენს, მაგრამ არაპირდაპირ ცდილობდა აღენიშნა წინასწარ განზრახული შეტაკება იტალიის თითქოს უდანაშაულო გემების წინააღმდეგ, რომლებიც კონტროლის ფუნქციებს ასრულებდნენ.

სსრ კავშირის წარმომადგენელი ამხ. კაგანი, რომელიც სცვლის ამხ. მაისკის (სხდომას არ ესწრება ავადმყოფობის გამო), კატეგორიულად ილაშქრებდა თავმჯდომარის მიერ შეტანილი რეზოლუციის წინააღმდეგ. ამხ. კაგანმა აღნიშნა, რომ საჭიროა დავიცვათ კომიტეტის მიერ დადგენილი წესი და გადაწყვეტილების მიღებამდე მიღებულ იქნეს ესპანეთის მთავრობის ვერსია ამ ინციდენტების შესახებ. გარდა ამისა, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ეჭვი შეიტანა „უდანაშაულო მსხვერპლის" პოზაში, რომელიც იტალიელებმა მიიღეს, ვინაიდან თავისთავად ისმის საკითხი, თუ რას აკეთებდნენ იტალიის გემები პალმასთან, რამდენადაც მაიორკის კუნძული არ წარმოადგენს კომიტეტის მიერ გამოყოფილ ზონას იტალიის გემების მიერ კონტროლის გასაწევად. ამხ. კაგანმა კომიტეტსა და იტალიელებს მოაგონა, რომ კონტროლის სქემის თანახმად, სამხედრო გემები ითვლებიან კომიტეტის დავალებათა შემსრულებლებად და უფლება აქვთ კომიტეტის სპეციალური დროშა გამოჰკიდონ, მხოლოდ როდესაც იმყოფებიან სადარაჯოზე მათთვის გამოყოფილ ზონაში. რაც შეეხება გრანდის „განმარტებებს", რომ პალმა წარმოადგენს კონტროლში მონაწილე იტალიელი გემების მომარაგების ბაზას, ამხ. კაგანმა მოაგონა, რომ უკვე კონტროლის სქემის განხილვისას ექსპერტები აღნიშნავდნენ ესპანეთის ამათუიმ მხარის ნავსადგურების ბაზად გამოყენების საშიშროებასა და რისკს. გამოდის რა ყოველივე ამიდან, საბჭოთა წარმომადგენელს წინადადება შეაქვს არ იქნეს მიღებული არავითარი რეზოლუცია, დაკმაყოფილდნენ თხოვნით იტალიის მთავრობისადმი და თავმჯდომარის საშუალებით მიმართონ ესპანეთის მთავრობას ინფორმაციისათვის ამ ინციდენტების შესახებ.

გრანდისა და მისი გერმანელი და პორტუგალელი კოლეგების ყველა ცდა აეძულებინათ კომიტეტი, რათა მას მიეღო ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილება, ჩაიშალა. რეზოლუციის მიღებულ ტექსტში არ არის რაიმე ინსინუაცია ესპანეთის მთავრობის მიმართ და აღნიშნულია, რომ 24 და 26 მაისის ამ ინციდენტების შესახებ ინფორმაციის მოლოდინში კომიტეტი მწუხარებას გამოსთქვამს მოკლულების შესახებ და იმის გამო, რომ ყუმბარები ჩამოგდებულ იქნა (თუ რით, ნათქვამი არ არის) ინგლისის, გერმანიისა და იტალიის სამხედრო გემების ახლოს პალმასთან. კომიტეტი უფლებას იტოვებს დაუბრუნდეს ამ საკითხს დამატებითი ცნობების მიღების შემდეგ. კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე სთხოვოს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართოს ესპანეთის მთავრობას ინფორმაციისათვის.

ორივე მხარისადმი მიმართვის პროექტი „ომის ჰუმანიზაციის" შესახებ კომიტეტმა, თავმჯდომარის წინადადებით, გადასწყვიტა გადასდოს 1 ივნისის შემდგომი პლენარული სხდომისათვის.

ბოლშევიკური პრინციპულობა და ორგანიზებულობა

დამთავრდა მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო პარტიული კონფერენციები. ამ კონფერენციების მუშაობას განსაკუთრებით გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ჩვენი პარტია. და ეს შემთხვევითი როდია. ორივე კონფერენცია წარმოადგენდა ბოლშევიკების უდიდეს, წამყვან რაზმებს. რა თქმა უნდა, მათ უნდა ეჩვენებინათ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა შევითვისოთ და განვახორციელოთ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი. უნდა აღვიაროთ, რომ ორივე კონფერენციამ წარმატებით თავი გაართვა თავის ამოცანებს.

მოსკოველმა და ლენინგრადელმა ბოლშევიკებმა კონფერენციების სახით ახალი სიძლიერით ცხადჰყვეს თავიანთი ურღვევი შემჭიდროვება და მონოლიტობა, თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი. ამან დადასტურება ჰპოვა ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ მხურვალე, მგზნებარე სიტყვებშიც, პარტიის თანამედროვე ამოცანების ღრმა გაგებაშიც, რომლებიც ამომწურავი სისრულითა და სიცხადით არის ჩამოყალიბებული საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმისა და ამხანაგ სტალინის მიერ. ამხანაგ სტალინის გამოსვლა ც. კ-ის პლენუმზე ახლა გახდა დროშად, გზისმაჩვენებელ ვარსკვლავად თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული ბოლშევიკის მუშაობაში.

არა მარტო ჩვენ, კომუნისტები და ჩვენთან ერთად ქვეყნის ყველა მშრომელიც, არამედ ჩვენი მტრებიც კი თვალნათლივ ხედავენ, თუ ჭეშმარიტად რა ისტორიულ, გიგანტურ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა კავშირმა. და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა, მაგრამ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი დაუღალავად მოგვაგონებენ ჩვენ, რომ წარმატებებსაც თავისი ჩრდილიანი მხარეები აქვს. აი რას ამბობდა ამის გამო ამხანაგი სტალინი ც. კ-ის პლენუმზე:

„... იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცადნი არიან პოლიტიკაში, დიდი წარმატებანი და დიდი მიღწევანი არაიშვიათად ჰბადებენ უდარდელობას, უზრუნველობას, თვითკმაყოფილებას, უსაზღვრო თვითრწმენას, თავგასულობას, მკვეხარობას. თქვენ არ შეგიძლიათ უარჰყოთ, რომ უკანასკნელ დროს მკვეხარები ჩვენში ისე მომრავლდნენ, რომ ვერც კი დასთვლით. გასაკვირველი არ არის, რომ სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდ და სერიოზულ წარმატებათა ამ ვითარებაში იქმნებიან ბაქიობის განწყობილებანი, ჩვენს წარმატებათა პარადული მანიფესტაციების განწყობილებანი, იქმნებიან ჩვენი მტრების ძალთა შეუფასებლობის განწყობილებანი, თავის ძალთა გადაფასების განწყობილებანი და, როგორც ყოველივე ამის შედეგი,—ჩნდება პოლიტიკური სიბრმავე".

აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური სიბრმავე ახასიათებს ბევრ პარტიულ ორგანიზაციას. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს ჩვენი სამშობლოს მტრებმა, დაწყებული გერმანელი ფაშისტებით და იაპონელი იმპერიალისტებით და გათავებული სსრ კავშირში კაპიტალიზმის ტროცკისტ-მემარჯვენე და სხვა რესტავრატორებით. მთელი ეს სიდამპლე, სიბინძურე და სისაძაგლე გაერთიანდა და თავისი შხამიანი ნეშტარი მიმართა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მუშების, გლეხებისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის წინააღმდეგ. ბევრი პარტიული ორგანიზაცია, თავისი იდიოტური ავადმყოფობის—პოლიტიკური სიბრმავისა და უდარდელობის, კაპიტალისტური გარემოცვის შეუფასებლობის გამო, მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდა, და ახლა მათ უხდებათ სასტიკად აგონ პასუხი ამისათვის.

მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციები ყველაზე უფრო შედუღებული და კლასობრივ ბრძოლებში გამოწრთობილი ბოლშევიკური რაზმები არიან, მაგრამ მტერი იმდენად შეინიღბა, რომ აქაც კი გაძვრა. იგი აქაც ცდილობდა ემოქმედნა და ევნო ჩვენთვის. ნაძირალთა ამ ბინძურ ცდებს ოდნავადაც არ შეურყევია მოსკოველი და ლენინგრადელი ბოლშევიკების, ისე როგორც მთელი ჩვენი პარტიის, ერთიანობა და მონოლიტობა. მიუხედავად ამისა, იაპონელ-გერმანელი, ტროცკისტ-მემარჯვენე არამზადების უკვე ცნობილი მხილების შემდეგ, ჩვენ ერთი წუთითაც კი არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი სიფხიზლე.

ჩვენი სამშობლოს მტრები ცბიერნი, ვერაგნი არიან. მათ თავიანთ დრუნჩზე აფარებული აქვთ უმანკოების, მოჩვენებითი გულწრფელობისა და პატიოსნების ნიღაბი. საბჭოთა მიწაწყალზე ისინი შხამიანი გველებივით დაძვრებიან. ამიტომ მეტი ყურმახვილობა, მეტი სიფხიზლე! **მტრებს კი დეე ახსოვდეთ, რომ ისინი როგორადაც უნდა იმალებოდნენ, იკლაკნებოდნენ, თვალთმაქცობდნენ, ყველანი უკლებლივ იქნებიან მხილებულნი და მათ თავს დაატყდებათ პროლეტარული რევოლუციის მსახვრელი მახვილი.**

ამის საწინდარია ჩვენი ქვეყნის ძლიერება, ჩვენი პარტიის სიმტკიცე, რომელთა განწყობილება, ნებისყოფა და მზადყოფნა საუცხოოდაა გამოხატული მოსკოვის პარტიული კონფერენციის შემდეგ სიტყვებში:

„მოსკოვის კონფერენცია არწმუნებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს, რომ არ არის და არც იქნება ჯაშუშების, დივერსანტების, ტერორისტების შებრალება, რომლებიც აღმართავენ ხელს საბჭოთა კავშირის მშრომელთა სიცოცხლის წინააღმდეგ; რომ ჯაშუშებსა და დივერსანტებს ჩვენ შემდეგაც გავანადგურებთ და სსრ კავშირის მტრებს არ ვაცოცხლებთ; რომ მუშის თვითეული დაღვრილი წვეთი სისხლისათვის სსრ კავშირის მტრები პასუხს აგებენ ჯაშუშთა და დივერსანტთა მრავალი ფუთი სისხლით.

პარტიული ორგანიზაციების არსებითი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გულდასმით გააცნონ კომუნისტებს უცხოური მზვერავი ორგანოების მიზნები და ამოცანები, მავნებლური, დივერსიული და ჯაშუშური მუშაობის პრაქტიკა და ტექნიკა, რომ „შეასწავლონ თვითეულ კომუნისტს უცდომრად და დროულად გამოიცნოს და შემუსროს ხალხის მტრები, რა უბანზე და რა ფორმითაც უნდა ეწეოდნენ ისინი თავის ძირგამომთხრელ მუშაობას მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ". (მოსკოვის კონფერენციის რეზოლუციიდან).

შემდეგი ძირითადი დასკვნა, რომელიც მოსკოვისა და ლენინგრადის კონფერენციებმა გამოიტანეს, იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდის შეითვისონ ც. კ-ის პლენუმის მითითებანი პარტიული მუშაობის უდიდეს ნაკლოვანებათა შესახებ. ამ ნაკლოვანებებს, რომელნიც ანტისაბჭოთა ტროცკისტ - მემარჯვენე მავნებლებს, დივერსანტებსა და ჯაშუშებს, უეჭველია, უადვილებდნენ შესაძლებლობას განეხორციელებინათ თავიანთი ვერაგული გეგმები, ადგილი ჰქონდათ მოსკოვსა და ლენინგრადშიც. აქაც ირღვეოდა შინაპარტიული დემოკრატიისა და თვითკრიტიკის პრინციპები. ამ მიზეზის გამო აქაც არასაკმაო იყო კავშირი პარტიულ ორგანოებსა და პარტიულ მასებს შორის.

კონფერენციებმა სრულიად გადაჭრით გამოააშკარავეს მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მათი უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის.

ორივე კონფერენცია გამოირჩეოდა არა მარტო უდიდესი პრინციპულობით, არამედ ბრწყინვალე საქმიანობითა და ორგანიზებულობითაც. ყოველივე ეს, უეჭველია, ეტყობოდა როგორც კამათს საქალაქო კომიტეტების საანგარიშო მოხსენებათა ირგვლივ, ისე ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებსაც. კამათი მიმდინარეობდა მაღალ იდეურ დონეზე, გაშლილი თვითკრიტიკის პირობებში. თვითკრიტიკა აძლიერებდა დელეგატების სიფხიზლეს, ამხილებდა მტრების საზიზღარი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ააშკარავებდა უვარგის, გაკოტრებულ მუშაკებს. შემდეგ თვითკრიტიკა მიმართული იყო საქალაქო კომიტეტების მუშაობის უდიდეს ნაკლოვანებათა გამოვლინებისაკენ (ნაკლოვანებანი კი ძალიან ბევრი აღმოჩნდა) და მათ ასაცილებლად ღონისძიებათა დამუშავებისაკენ.

ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები მიმდინარეობდა ორგანიზებულად და მოფიქრებულად—უფუსფუსოდ, ზედმეტი სიფიცხის გამოუჩენლად. კანდიდატურათა წამოყენებასა და შეფასებას საფუძვლად დაედო მხოლოდდამხოლოდ ორი ნიშანი, რომლებზედაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი: პირველი ნიშანი—პოლიტიკური, ე. ი. არის თუ არა ესათუის ამხანაგი პოლიტიკური ნდობის ღირსი, და მეორე ნიშანი—საქმიანი, ე. ი. გამოდგება თუ არა ესათუის ამხანაგი საქალაქო კომიტეტში სამუშაოდ. ხელმძღვანელობდნენ რა ამ ნიშნებით, მოსკოველი და ლენინგრადელი ბოლშევიკები გულმოდგინედ ამოწმებდნენ თვითეულ დასახელებულ კანდიდატურას, და სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ საქალაქო კომიტეტში არჩეულმა თითქმის ყველა ამხანაგმა ხმის უდიდესი უმრავლესობა მიიღო. კონფერენციების ამგვარი ერთსულოვნობა საქალაქო კომიტეტების არჩევნებში (ფარული კენჭისყრის გზით) ყველაზე უკეთ მოწმობს, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოები გაამართლებენ იმ მაღალ პოლიტიკურ ნდობას, რომელიც მათ გაუწიეს, და ღირსეულად გაართმევენ თავს პარტიული ხელმძღვანელობის ამოცანებს. ეს ამოცანები კი ფრიად დიდი და პასუხსაგებია.

პარტიული მუშაობის გარდაქმნა მხოლოდ ეს არის დაიწყო. აუცილებელია თვითეული პირველადი ორგანიზაცია გადავაქციოთ ჩვენი პარტიის მიუვალ ციხე-სიმაგრედ, რომელზედაც შუბლი დაემსხვრევა ყოველ გამცემელს, ჯაშუშს, დივერსანტს და მავნებელს და რომელშიაც უნდა იზრდებოდნენ, იწრთობოდნენ და ბოლშევიზმს სწავლობდნენ ლენინ-სტალინის პარტიის ჭეშმარიტი შვილნი. აუცილებელია პარტიული მასების მობილიზება პარტიისა და მთავრობის სამეურნეო და თავდაცვითი ღონისძიებების მკვეთრად და სწრაფად შესრულებისათვის, მტრების მავნებლობის შედეგთა უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის, ამასთან თვითეული კომუნისტის მუშაობა უნდა შეფასდეს იმის მიხედვითაც, თუ როგორ მეთაურობს და წინ უძღვება იგი უპარტიოებს. აუცილებელია უზრუნველვყოთ ყოველდღიური ხელმძღვანელობა მოახლოვებული საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა კომკავშირსა და პროფკავშირებში და მოვამზადოთ თვითეული პირველადი ორგანიზაცია და თვითეული კომუნისტი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის.

შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის ბოლშევიკები, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ერთგულნი, ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტების ხელმძღვანელობით, გვიჩვენებენ მუშაობის ნიმუშებს პარტიული, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში და ამით ერთხელ კიდევ ხაზს გაუსვამენ თავიანთ როლს, როგორც ჩვენი პარტიის წამყვანი ორგანიზაციებისას.

„პრავდის" მოწინავე, 31 მაისი

უცხოეთის ქრონიკა

○ ესპანეთის მთავრობამ დაადგინა — სახელმწიფოს გადაეცეს ყველა რადიოსადგური და რადიოგადამცემი, რომლებიც კი პოლიტიკურ პარტიებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის განკარგულებაშია.

○ ქალაქ ლა-კორუნიაში (გალისია) ფაშისტებმა სიკვდილი მიუსაჯეს სოციალისტ დეპუტატს რუფილანჩესს და 15 სხვა სოციალისტს.

○ დუბლინში (ირლანდია) დინამიტით ააფეთქეს ინგლისის მეფის გიორგი მეორის ქანდაკება.

○ უკანასკნელ დროს სიჩუანის პროვინციაში ხდება შიმშილით გამოწვეული ამბოხებანი. ამ დღეებში ნიძიანის რაიონში დაახლოვებით 700 დამშეული თავს დაესხა ბრინჯით დატვირთულ ნავებს.

○ გაზეთი „ჩესკე სლოვო" (პრაღა) სწერს, რომ ფაშისტურ გერმანიაში სიძვირე 50 პროცენტით გაიზარდა. კვების პროდუქტების ფასის ზრდას თან სდევს მათი ხარისხის გაუარესება.



თბილისის ავტო-სარემონტო ქარხანა. სურათზე: ავტომანქანები ასაწყობ ხაზზე. „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

რამდენიმე ფაქტი „პატარა“ ბიუროკრატთა პრაქტიკიდან

უბედურებაა, თუ საქმე შეგვხვდა პატარა ბიუროკრატთან: გაგაწვალებს, გაგაწამებს, მოგაძულებს თავს და იმ დაწესებულებას, სადაც ბედმა, თუ უბედობამ მასთან შეხვედრა გარგუნა.

ასე მოუვიდა მოქ. თურქაძეს. დაუშვა „შეცდომა“ მოქ. თურქაძემ და გადასწყვიტა აეგო საკუთარი საცხოვრებელი სახლი. წლობით აგროვებდა კაცი საამისო თანხას, მოაგროვა და მოისურვა უკეთესი ბინა. ქალაქის საბჭომ მას მიწის ნაკვეთიც გამოუყო, ტექნიკოსებმა პროექტი შეუდგინეს და გაიჩარხა საქმე, მაგრამ... რა იცოდა თურქაძემ თუ „საქმის გაჩარხვამდე“ [illegible] შორს იყო. 1936 წლის 23 ნოემბერს მან, თბილისის საბჭოს არქიტექტურულ განყოფილებაში შეიტანა განცხადება ახალი სახლის საამშენებლო პროექტის დამტკიცების შესახებ. განცხადება მიიღეს, დანომრეს და შეინახეს. ისე შეინახეს, რომ დღის სინათლე არ უნახავს და თურქაძეც ელის პასუხს, თუ როდის მისცემენ მას უფლებას, რომ შეუდგეს მშენებლობას.

კიდევ უფრო საარაკო საქმე დაემართა კბილის ექიმს გაბრიელ გატაევს. მას, კალიაევის დაღმართის გაფართოებასთან დაკავშირებით, დაუნგრიეს ეზოში შესასვლელი. კაცმა ითხოვა, მომეცით უფლება ეზოში შესასვლელი გავაკეთო ჩემს გემოზეო და დასწერა სათანადო განცხადება. 1935 წლის 23 ოქტომბერს მან ეს განცხადება თბილისის საბჭოს ტექნიკურ განყოფილებას მიართვა. გავიდა თვე, ორი, სამი. გავიდა ერთი წელიწადი. გატაევი სისტემატურად დადიოდა ტექნიკურ განყოფილებაში და თხოულობდა პასუხს. ვერ ეღირსა. ხან ეუბნებოდნენ რა განცხადება, რომელი განცხადება, ჩვენ არაფერი ვიცითო. შემდეგ, როცა გატაევმა დაუმტკიცა კანცელარიის „ოსტატებს“, რომ განცხადება ნამდვილად მათ გადასცა 1935 წლის ოქტომბერში, უთხრეს—განიხილავენ და შემდეგ გეტყვით პასუხსო.

პასუხის მოლოდინში 1936 წელი დაილია და 1937 წელი დადგა. მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოირკვა ამ ბიუროკრატული თავისაგდების ამბავი და გატაევს საქმესაც ეშველა.

გასულ 17 მარტს თბილისის საბჭოს არქიტექტურულ-საგეგმო განყოფილებაში განცხადება შეიტანა მოქ. მშველიძემ—მიშველეთ, ბინას მიფუჭებენ, თქვენ საქმესაც აფუჭებენ, დაშენების ნებართვა ძმაბიჭურად არის გაცემულიო. „პატარა“ ბიუროკრატმა, რომელიც თავის მაგიდის იქით არსად იხედება ეს განცხადება „დაკარგა“.

წყალკანალტრესტშიაც ბრიან პატარა ბიუროკრატები. მათ დაკარგეს დავითაშვილის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, მათ დაკარგეს მშრომელთა მრავალი სხვა საჩივარიც. აქ კანალიზაცია გაფუჭდა, იქ წყალსადენის მილი დაზიანდა და მთელი ეზო უწყლოთაა და მრავალი ასეთი საყვედურებით მიდიან მშრომელნი თბილისის წყალკანალტრესტში. მიდიან და დროულად პასუხს ვერ ღებულობენ.

თელასიც არ ჩამორჩება წყალკანალტრესტს. იქაც ზიან უსულგულო ბიუროკრატები. ისეთნი, როგორიცაა საქმეთა მმართველი ჯოჯუა. დარდიც არა აქვთ მშრომელთა განცხადებებისა. მიიღებენ ამ განცხადებებს და დაჰკარგავენ. ჯოჯუამ დაჰკარგა მოქ. ბარათელის განცხადება, მაისურაძის საჩივარი და მრავალი სხვა.

ასეთია რამდენიმე ფაქტი რამდენიმე დაწესებულების ბიუროკრატ-მუშაკთა პრაქტიკიდან.

ახლა საკითხავია—იცოდნენ თუ არა ჩამოთვლილ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ყველაფერი ეს. ეჭვი არაა, იცოდნენ, მაგრამ ზომებს არ ღებულობდნენ წვრილფეხა ბიუროკრატების წინააღმდეგ. მშრომელთა საჩივრები მათ წვრილმან საქმედ მიაჩნდათ.

მას შემდეგ კი, როცა თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო მითითება მისცა ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს (თელასის დირექტორს—ამხ. სეროპიანს, არქიტექტურულ-საგეგმო განყოფილების გამგეს—ამხ. არ. ქურდიანს, წყალკანალტრესტის დირექტორს ამხ. როსტომიანს და სხვ.), მშრომელთა საჩივრებს უფრო გულისხმიერად ეკიდებიან, მაგრამ წვრილფეხა ბიუროკრატები მაინც არ არიან ალაგმული. სპეციალურად ჩატარებული გამოკვლევის დროს აღმოჩნდა ერთი კურიოზული ფაქტი: 26 თებერვალს კომუნალური მომარაგების განყოფილებაში განცხადება შეუტანია მოქ. იოსებ ალტიმარკს. ეს განცხადება სადღაც „დაკარგულა“ და შემდეგ, როცა ბიუროკრატებს პასუხი მოსთხოვეს ამ გულგრილობისათვის, ალტიმარკის განცხადება სწრაფად აღმოაჩინეს და ზედ რეზოლუცია წააწერეს... 16 თებერვლის თარიღით. ვითომდა დროულად გამოვეხმაურეთ ალტიმარკის განცხადებასო.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ბიუროკრატების ყალთაბანდობას. ის კი, ვინც ბიუროკრატიზმის სენითაა შეპყრობილი, რა თანამდებობაზედაც არ უნდა მუშაობდეს იგი, თავიდან უნდა მოიშორონ. მეტი გულისხმიერება და პასუხისმგებლობა უნდა მოსთხოვოს თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მის ქვემდებარე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და არავის უნდა ეპატიოს მშრომელთა საჩივრებისადმი უსულგულო დამოკიდებულება.

დ. ამირანიძე.

უდარდელობა საკოლმეურნეო კადრების მომზადებაში

საქართველოში მიწსახკომის ხაზით 18 რაიონული საკოლმეურნეო სკოლა მუშაობს.

საკოლმეურნეო კადრების მომზადებისათვის დიდძალი თანხები იხარჯება. წელს საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებლად სახელმწიფო მილიონ მანეთს ხარჯავს. მაგრამ ამ სკოლებში სწავლების ხარისხი კვლავ არადამაკმაყოფილებელია. როგორც ჩანს, ადგილებზე ვერ გაუკეთებიათ საჭირო დასკვნა ამხ. ლ. ბერიას იმ მითითებიდან, რომელიც მან მოგვცა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე.

მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო ამ მიმართულებით ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. არ შეუმუშავებია ახალი პროგრამები, არა აქვს სკოლებისათვის სტაბილური სახელმძღვანელოები ნაციონალურ ენებზე. მაგრამ საკოლმეურნეო კადრების მომზადება მარტო მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს საქმე როდია. ამ საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება შეუძლებელია რაიონული ორგანიზაციების დაუხმარებლად.

რაიონული საკოლმეურნეო სკოლებიდან კარგად მომზადებული კადრების გამოშვება, სხვათაშორის, დამოკიდებულია კონტინგენტის მოცემულ ვადებში შეკრებაზე და სწორად შერჩევაზე. ვის ევალება ეს? უპირველეს ყოვლისა, მიწგანს. მიწგანი საკოლმეურნეო სკოლას ისეთსავე ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს, როგორც რაიგანათლების განყოფილება თავის სამოქმედო სკოლებს. ეს განსაზღვრულია საკოლმეურნეო სკოლების დებულებით. მაგრამ მიწგანების მხრით საკოლმეურნეო სკოლების ხელმძღვანელობა სავალალო მდგომარეობაშია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით და მიწსახკომის ბრძანებით, წელს რაისაკოლმეურნეო სკოლებში უნდა მომზადდეს 1804 კაცი.

ეს დავალება და სათანადო ახსნა-განმარტება თავის დროზე დაეგზავნა პარტიის რაიკომებსა და რაიმიწგანებს. მეცადინეობა სკოლებში 15 მარტიდან უნდა დაწყებულიყო. რისთვისაც საჭირო იყო სათანადო კონტინგენტის დროულად შერჩევა.

განსაკუთრებით რაიმიწგანებს უნდა შეექმნათ ყოველგვარი პირობები (ერთის მხრით სკოლებთან, მეორე მხრით კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების გაფორმება, საცხოვრებელი ბინების აღმოჩენა, კონტინგენტის შერჩევა-გადაგზავნა და სხვ.) იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სწავლის დაწყების ვადის ზუსტად დაცვა.

როგორ გაანაღდა მან ეს დავალებანი?

მსმენელთა კონტინგენტის შეგროვების გეგმა რესპუბლიკის მასშტაბით 11 მაისისათვის 65,7%-ით არის შესრულებული. მონაგარიშეების კონტინგენტი უნდა შეკრებილიყო 590 კაცის რაოდენობით. შეკრებილია 511 (გეგმის 86,6 პროც.) ვეტფერშლების დაკომპლექტების გეგმა შესრულებულია 16,8 პროცენტით, მეცხოველეობის ფერმის გამგეებისა—50-ით, მემინდვრე ბრიგადირთა—38,3 პროცენტით.

საკოლმეურნეო კადრების მომზადება საქართველოს რესპუბლიკის რაიონთა შორის გარდა ამბროლაურისა თითქმის არცერთს თავის საქმედ არ მიუჩნევია.

იქ, სადაც რაიონულმა ორგანიზაციებმა სწორად ვერ გაიგეს ამხ. ლ. ბერიას საბრძოლო მოწოდება, რომ „კოლმეურნეობისათვის კადრების მომზადების საქმე—წარმოადგენს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან, საბრძოლო ამოცანას“, და ივიწყებენ სტალინურ ლოზუნგს—„კადრები სწყვეტენ ყველაფერს“—საქმეც წინ ვერ მიდის.

სკოლებში სწავლის დაწყებიდან უკვე ორი თვე გავიდა და კონტინგენტის შეუვსებლობასთან ერთად ზოგიერთ სკოლაში დღემდე სწავლაც არ არის დაწყებული.

წალენჯიხის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ვანის, ხაშურის, წალკის, ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, წულუკიძის, ცაგერის, ჯულელის, ჩხარის, ხობის, კასპის მიწგანებს და აფხაზეთის მიწსახკომს უნდა მოვაგონოთ, რომ მათ საკოლმეურნეო კადრების მომზადებას ბოლშევიკურად უნდა მოჰკიდონ ხელი.

რას იტყვიან იმაზე, რომ ზოგიერთ მიწგანს ერთი კაციც არ მიუვლინებია კურსებზე პროფილების მიხედვით. ზოგიერთი მიწგანის გამგე (ვანის რაიონი) თავს იმართლებს, არ „გვცალიაო“. ზოგიც ცდილობს თავი დააღწიოს კადრების მომზადებას. მაგალითად, ჩოხატაურის რაიმიწგანი აცხადებს, „კადრები არ გვესაჭიროებაო“.

რაისაკოლმეურნეო სკოლა ემსახურება რამდენიმე რაიონს. მაგალითად, მახარაძის საკოლმეურნეო სკოლაზე მიმაგრებულია ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და თვით მახარაძის რაიონი. ჩოხატაურის რაიმიწგანმა კონტინგენტის შევსების გეგმა სამარცხვინოდ ჩაშალა. ლანჩხუთის რაიმიწგანს 10 მემინდვრე ბრიგადირიდან სკოლაში ერთიც არ გაუგზავნია. ამის გამო სკოლა ნორმალური მეცადინეობის დაწყებას ვერ ახერხებს. ზოგიერთი მიწგანი სკოლას ახლოც არ ეკარება. რაიმიწგანის მუშაკები არ ამოწმებენ სწავლების ხარისხს, მსმენელთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

რაიმიწგანებმა დაგზავნილი გეგმის მიხედვით უნდა შეაგროვონ კონტინგენტი, დაუკავშირდნენ სკოლებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ჩამორჩენა საკოლმეურნეო კადრების მომზადებაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლების ხარისხს.

საკოლმეურნეო კადრების მომზადება მაშინ იქნება დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, როდესაც ამ საქმეს ნამდვილ ოპერატიულ ხელმძღვანელობას გაუწევენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და თვით მიწსახკომი.

აგრ. ზრ. ნემსაძე.

ჭიათურის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები სწავლობენ ამხ. ლ. ბერიას მოხსენებას საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე.

სურათზე: სტალინის სახელობის მაღაროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. თვალჭრელიძე მაღაროს კომკავშირელ მუშებს უკითხავს ამხ. ლ. ბერიას მოხსენებას. ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ამხ. ა. მ. ჭყონიას დაკრძალვა

31 მაისს დაახლოვებით დღის 12 საათზე დაიწყო ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორის, მტრის ხელით დაღუპულ ორდენოსან აკაკი მაქსიმეს-ძე ჭყონიას ცხედართან მისვლა.

თბილისის მშრომელები მიემართებიან თეატრის წითელი ფოიესაკენ, სადაც ყვავილებში ჩაფლული კუბო დგას. ერთიმეორეზე მოაქვთ სულ ახალ-ახალი გვირგვინები.

კუბოსთან მიდიან ოპერისა და ბალეტის თეატრის მუშაკები, სდგებიან საპატიო ყარაულში.

დღის 2 საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი. თეატრის აივნიდან გაისმის სამგლოვიარო მარშის ჰანგები. აკაკის მეგობრები და მასთან მომუშავე ამხანაგები უკანასკნელ სამგლოვიარო ვახტზე დგანან.

სიტყვით გამოდის მთავრობის მიერ გამოყოფილი დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. დუდუჩავა. იგი საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკური სამმართველოს სახელით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. ა. ჭყონიას ტრაგიკული დაღუპვის გამო.

ამხ. დუდუჩავამ აღნიშნა, რომ ამხ. ჭყონიას სახით ჩვენ დავკარგეთ ინიციატიური, ენერგიული მუშაკი, რომელიც დიდი სიყვარულითა და ენტუზიაზმით იბრძოდა პარტიისა და მთავრობის მიერ საოპერო ხელოვნების წინაშე დასახულ ამოცანათა შესასრულებლად. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს ხელოვნება გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის. ყველაზე უფრო დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა ბრწყინვალე წარმატება ქართული ხელოვნების დეკადისა მოსკოვში, რომლის მოწყობაშიც ა. მ. ჭყონიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ იშვიათი მეგობარი, ამხანაგი, ორდენოსანი თეატრის ნიჭიერი ხელმძღვანელი. კვლავ გაისმის სამგლოვიარო მელოდიები.

ა. მ. ჭყონიას კუბოსთან სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი დ. ანდღულაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ა. ვასაძე, თბილისის კონსერვატორიის დირექტორი ა. ხოფერია და წითელი არმიის საოლქო სახლის უფროსი ამხ. კვახაძე. შოპენის, ვაგნერის სამგლოვიარო მელოდიებს სცვლის ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ სევდიანი მელოდიები.

თეატრში შემოდიან მშრომელთა სულ ახალ-ახალი ჯგუფები. შემოაქვთ გვირგვინები თბილისის თეატრებისაგან. დედაქალაქის ათასობით მშრომელებმა გაიარეს კუბოსთან.

დღის 4 საათი.

კუბოსთან მიდიან ამხ. ა. დუდუჩავა, დ. ანდღულაძე, ნ. ქომსიაშვილი, ლ. ისეცკი და სხვ. და გამოაქვთ კუბო თეატრიდან.

მრავალათასიანი სამგლოვიარო პროცესია მიემართება ახალ სასაფლაოსაკენ.

ახლად გათხრილ სამარესთან ნათესავები ეთხოვებიან დაუვიწყარ ა. მ. ჭყონიას.

გამოსათხოვარი სიტყვებით გამოდიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი ნ. ქუმსიაშვილი, საოპერო თეატრის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ბეგიჯანოვი და № ავიანაწილის წარმომადგენელი ამხ. ხაჩატუროვი. სამგლოვიარო მარშის ჰანგებით უშვებენ კუბოს სამარეში. (საქინი).

უზრუნველვყოთ წესიერი კრეფა, პლანტაციების მოვლა

ცხაკაიას რაიონში წელს 590.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა მოიკრიფოს. აქედან ჯერ კიდევ 12 მაისისათვის მოიკრიფა 102.940 კილოგრამი ფოთოლი და მაისის გეგმა 83 პროცენტით შესრულდა, ხოლო 15 მაისს—96,1 პროცენტით.

ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, ჩაის ბუჩქთა ძლიერი ვეგეტაცია, საკმარისი რაოდენობის მუშახელი და სხვ., სავსებით ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის, რომ რაიონმა თავის ვალდებულებები დიდი წარმატებით შეასრულოს (მაისის გეგმა ვადაზე ადრე, 20 მაისს გადაჭარბებით შესრულდა, მოიკრიფა 135.266 კილოგრამი).

მიუხედავად ამისა, რაიონში აქაიქ ჯერ კიდევ გვხდება მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, მაგალითად, ფოცხოს სასოფლო საბჭოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჯ. ბარზემიშვილი) და ორჯონიკიძის სახელობისაში (უშაბათის სას. საბჭო, თავმჯდომარე ი. გოგინავა) დაბალ (25-30 სანტიმეტრიან) ბუჩქებს ჰკრეფენ. გარდა ამისა, სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში ნაადრევად ჰკრეფენ (გაკვირტვას ახდენენ), ხოლო ზოგან ნორმალური საკრეფი ფოთოლი რჩება, უხეშდება და დუყიც ყრუვდება.

ასევე ხდება ფოთლის გაუხეშება ზანის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „პირველ ნაბიჯში“ (კოლმ. თავ-რე სტ. ღვინჯილია) და „გაერთიანებაში“ (თავ-რე ან. ტყებუჩავა).

სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და „გაერთიანების“ პირველ ბრიგადებში კრეფის ნორმებიც არ იციან.

ზოგან მოუწესრიგებელია ფოთლის გატანა და ადგილი აქვს გაცდენებს (კოლმეურნეობები: „პირველი ნაბიჯი“ და „გაერთიანება“).

პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების შეტანის გეგმა რაიონს 15 აპრილისათვის უნდა შეესრულებინა. მიუხედავად ამისა, 11 მაისისათვის გეგმა მხოლოდ 73 პროცენტით იყო შესრულებული. მთელ რიგ კოლმეურნეობებს (სტალინის, კიროვის, ორჯონიკიძის სახელობისა, „პირველი ნაბიჯი“ და „გაერთიანება“) სასუქი პლანტაციებთან აქვთ, მაგრამ შეტანის საქმე აქამდე არ მოუწესრიგებიათ.

გარდა ამისა, სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, ჩაის პლანტაციები განსაზღვრულ ნაკვეთებად 5-7 წლით ჯგუფებზე უნდა მიემაგრებინათ. გარდა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობისა, ეს თითქმის არსად არ არის შესრულებული.

რაიონში ბევრია კოლმეურნე, რომელიც დღეში, ნაცვლად 10—15 კილოგრამისა, 30—38 კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფს (ბ. შამათავა, ლ. ლონდარიძე, თ. ბუსკაძე, მ. გოგინავა, ნ. კუჭავა, თ. ტყებუჩავა და სხვ.). მათი გამოცდილების გაზიარებას, კრეფის ტექნიკის ფართოდ დანერგვას ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა.

მოუწესრიგებელია ფოთლის გადამუშავების საქმეც. უშაფათის ჩაის ფაბრიკა ძალიან გადატვირთულია, ის ნაცვლად 7—8 ტონა ფოთლისა, დღეში 12 ტონასა და მეტსაც ღებულობს. ფაბრიკას არ ჰყოფნის მწვანე ფოთლის დასაყრელი ადგილი. ამიტომ ფაბრიკის დირექცია ფოთოლს ხშირად მთელი დღეღამის განმავლობაში და ზოგჯერ მეტხანსაც მიმღებ პუნქტებში სტოვებს, ფოთოლი ზიანდება, იწვება.

ამავე დროს, რაიონში სუსტად უწევენ კონტროლს ადგილებს, პლანტაციებსა და კოლმეურნეობებში იშვიათად ამოწმებენ კრეფის მიმდინარეობასა და ხარისხს, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ჩამორჩენილთა მიმართ.

ეს ყოვლად დაუშვებელია. აუცილებელია ახლავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ყველა არსებული ნაკლის გამოსწორებას. უნდა უზრუნველვყოთ ფოთლის წესიერი კრეფა-გადამუშავება და პლანტაციების სანიმუშო მოვლა.

ლ. აჩალაძე.

ლ. ნაზარეტიანი

თბილისის ჯანმრთელობის განყ. გამგის მოადგილე

დედა-ქალაქის სამკურნალო ქსელი

სანიმუშო დედა-ქალაქს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სანიმუშო დაწესებულებანი უნდა ჰქონდეს. ეს არის ჩვენი ყოველდღიური საბრძოლო ამოცანა. ეს იქნება ჩვენი მუშაობის განმსაზღვრელი მესამე ხუთწლედში.

სწრაფად იზრდება თბილისის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი. მეორე ხუთწლედში პირველთან შედარებით ის ხუთჯერ მეტად გაიზარდა. თუ მეორე ხუთწლედის წინა წელს ჩვენი ბიუჯეტი 9.400 ათას მანეთს უდრიდა, 1937 წელს იგი 50.529 ათას მანეთს შეადგენს.

ბიუჯეტი სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის დარგი სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა სწრაფ აღმავლობას ჩამორჩებოდა. ეს ჩამორჩენა მესამე ხუთწლედში სავსებით უნდა გამოვასწოროთ.

ძირითადი წანამძღვარი, რომელმაც უნდა განსაზღვროს თბილისის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მესამე ხუთწლიანი გეგმა, არის საბჭოთა ხალხის დიდი ქარტია — სტალინური კონსტიტუცია. ჩვენს გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ მშრომელთა სავსებით უზრუნველყოფა უფასო საექიმო დახმარებით, დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვა, სანიტარული პირობების გადაჭრით გაუმჯობესება, მშრომელთა გაჯანსაღება, დასვენების უფლების მთლიანად უზრუნველყოფა, მწვავე გადამდებ სნეულებათა მაქსიმალურად შემცირება, ზოგი მათგანის სრულიად აღმოფხვრა.

მესამე ხუთწლედის ერთი მთავარი საფუძველთაგანი უნდა იყოს აბორტების აკრძალვისა და მშობიარეთა დახმარების საყოველთაოდ ცნობილი კანონი.

სამური ცხოვრება, პროდუქტების სიუხვე და მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა სწრაფად ამცირებს ავადმყოფობას, მაგრამ ჩვენი საავადმყოფოები მაინც ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა მოთხოვნილებას. ახლა 2.485 სხვადასხვა სახის საწოლი გვაქვს, მესამე ხუთწლედში ამას უნდა მიემატოს 4.475 ახალი საწოლი. გაიზრდება საექიმო მომსახურების ხარისხი: გადიდდება საწოლის შენახვის ნორმა. თუ 1932 წელს ერთ საწოლზე 2.037 მანეთს ვხარჯავდით, 1937 წელს 5.300 მანეთს ვხარჯავთ, 1942 წელს 10 ათას მანეთს დავხარჯავთ.

ძალიან ჩამორჩენილია მოსახლეობის ფსიქო-ნევროლოგიური დახმარება. ჯანსახკომის ერთადერთი ფსიქიატრიული საავადმყოფო რესპუბლიკისთვის საკმარისი არ არის. ამიტომ მწვავე ავადმყოფთათვის მოვაწყობთ იზოლატორებს შედარებით მშვიდთათვის კი შრომის ახალშენებს, ღამის სანატორიუმებს და ნარკო-დისპანსერებს.

საავადმყოფოს გარეშე (საექიმო დაწესებულებათა) ქსელი უმთავრესად გაიშლება მზარდი თბილისის ახლად დასახლებულ რაიონებში, როგორიც არის: დიღომი, საბურთალო, ნავთლუღი და ვაკე. აშენდება ახალ სამრეწველო კერებსა და საფაბრიკო - საქარხნო ცენტრებში, როგორიცაა: დიდუბე, ღრმა-ღელე და ავჭალა.

დისპანსერების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების რიცხობრივ ზრდასთან ერთად გაუმჯობესდება მათი მუშაობის ხარისხი, გაიზრდება ნორმები. თუ ერთ საექიმო მიღებაზე 1932 წელს 7 ათას მანეთს ვხარჯავდით, 1937 წელს ეს ნორმა 14 ათას მანეთს უდრის, ხოლო 1942 წლისათვის იგი 20 ათას მანეთს მიაღწევს. მესამე 5-წლედის ბოლოს საავადმყოფოს გარეშე დახმარებისათვის დაგვჭირდება 1.075 საექიმო ერთეული. 1932 წელს გვქონდა საავადმყოფოს გარეშე 48 დაწესებულება, 1937 წელს გვაქვს 78, 1942 წელს გვექნება 120, გავხსნით ჯანმრთელობის დაცვის 59 პუნქტს.

მეტად მნიშვნელოვანი და უაღრესად საჭირო დარგია სასწრაფო დახმარება. ამ მხრივ მოთხოვნილებას ვერ ვაკმაყოფილებთ. გვაქვს სასწრაფო დახმარების ერთადერთი სადგური, რომელიც კომუნალური და საყოფაცხოვრებო ტრავმატიზმის მომსახურებას ვერ აუდის. მესამე ხუთწლედში სასწრაფო დახმარება დეცენტრალიზებული იქნება. ყველა რაიონში მოვაწყობთ სასწრაფო დახმარების თითო სადგურს. ქალაქში იმუშავებს სასწრაფო დახმარების 25 მანქანა.

ძირფესვიანად გაუმჯობესდება და გაფართოვდება ღამისა და დღის გადაუდებელი დახმარება, ფიზიო-თერაპიული და ტალახ-გოგირდით მკურნალობა. ფართოდ გამოვიყენებთ ახტალისა და კუმისის ტალახს.

გავაფართოვებთ სარძეო ფერმას. საავადმყოფოებს, სარძევე სამზარეულოებს და საბავშვო ბაგებს შეუფერხებლად მოვამარაგებთ რძით. ამისათვის ჩვენ ფერმაში მეწველი ძროხების რიცხვს 105-დან 450-მდის ავიყვანთ.

მესამე ხუთწლედში უნდა აღმოვფხვრათ ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ეპიდემიასთან ბრძოლასა და სადეზინფექციო მუშაობას შორის. ჩვენი სადეზინფექციო სადგური ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ ავაგებთ ახალ სადგურს, რომელსაც 8 განყოფილება ექნება. ამასთან თვითეულ რაიონს უნდა ჰქონდეს სადეზინფექციო, სანიტარული, სანიტარულ - ჰიგიენური, ბაქტერიოლოგიური და სხვა ლაბორატორიები.

გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ თბილისის სანიტარული მდგომარეობა. ამისათვის თბილისის საბჭომ თავის გეგმაში უნდა გაითვალისწინოს ჭებისა და ორმოების მოსპობა, საცხოვრებელი სახლებისა და დაწესებულებათა კანალიზაცია, წყლით სავსებით და უნაკლოდ მომარაგება, აბანოებისა და სამრეცხაოების გაშლა, მექანიკური დასუფთავება, ნაგავ-საწვავი მექანიზებული პუნქტების გახსნა, კრემატორიუმის მოწყობა.

მესამე ხუთწლედში სავსებით მოვსპობთ მალარიასა და მის გამომწვევ მიზეზებს. ჩვენი სანიტარული კულტურის სახლი ვერ აკმაყოფილებს თბილისის მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებას. ამიტომ ახალ სახლს ავაგებთ. ეს სახლი 23 ათასი კუბური მეტრის მოცულობისა იქნება.

საბავშვო ბაგებში ჩავაბამთ 4 წლამდე ასაკის ბავშვთა 52 პროცენტს, რაც დაახლოვებით 25 ათას ბავშვს შეადგენს, ეს მაშინ, როცა 1932 წელს საბავშვო ბაგებში 1.383 ბავშვი გვყავდა, ხოლო წელს 5.138 ბავშვი გვყავს. 1932 წელს გვქონდა ბავშვთა 540 საწოლი, 1937 წელს გვაქვს — 2.569, ხოლო 1942 წელს გვექნება 12.500, მუდმივი ბაგების რიცხვი 1937 წლის 40-იდან 1942 წელს 98-მდე გაიზრდება. ავაგებთ ბავშვთა 120-საწოლიან სანატორიუმს, ბავშვთა სახლს 200 საწოლით და სხვ.

თბილისს არა აქვს დედისა და ბავშვის სახლი, სადაც ორსული ქალი გაატარებს თავის შვებულებას და მიიღებს კვალიფიციურ საექიმო დახმარებას. ამისათვის ავაშენებთ სპეციალურ 200-ადგილიან სახლს. საკავშირო სახკომსაბჭოს 1935 წლის ივლისის დადგენილებით უნდა აგვეშენებინა ავადმყოფ ბავშვთა სამკურნალო სახლი. ამას მესამე ხუთწლედის გეგმაში ვითვალისწინებთ.

მესამე ხუთწლედში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისათვის გვექნება ბავშვთა საავადმყოფო, ინფექციური საავადმყოფო, ბავშვთა და მოზარდთა დისპანსერი, პოლიკლინიკა და სხვ.

თუ მეორე ხუთწლედის ბოლოს პედიატრიული კაბინეტები სასწავლო - აღმზრდელობით დაწესებულებათა მხოლოდ 30 პროცენტს ემსახურება, მესამე ხუთწლედში პედიატრიული კაბინეტების მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნება ყველა დაწესებულება.

ამასთან აუცილებელია გვქონდეს ბავშვთა ფსიქიატრიული კოლონია, ეპილეპტიკ, ფილტვებ-დასუსტებულ და ფიზიკურად დეფექტიან ბავშვთათვის სანიტარული ტიპისა და სატყეო სკოლები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფიზკულტურას, მის საექიმო მომსახურებას. ამისათვის აუცილებელია მოვაწყოთ ფიზკულტურის სახლი სანიმუშო სპორტ-დარბაზებით და საექიმო კაბინეტებით.

◆

უთავბოლო ხელმძღვანელობის შედეგი

ამხანაგობა „პროვოდნიკის“ თავმჯდომარე ს. ნავროზაშვილმა თავისი უყაირათო მუშაობით ამხანაგობა დაშლის კარამდე მიიყვანა.

ნავროზაშვილმა 57 კაცი ისე მიიღო ამხანაგობის წევრად, რომ საერთო კრებას არც კი გააგებინა.

ამხანაგობა „პროვოდნიკს“ რაიონებში რამდენიმე განყოფილება აქვს. მათ ყურადღება არ ექცევა და იქ თავისუფლად ფლანგავენ და ანიავებენ ამხანაგობის თანხებს. მაგ., ბათუმის განყოფილების გამგემ ბაგრატაშვილმა 7.000 მან. გაფლანგა, ზუგდიდისამ — 5.000 მან., მახარაძისამ — 10.000 მან. ნავროზაშვილმა და ბუხჰალტერმა თოხაძემ დღემდის ვერ მოიცალეს იმისათვის, რომ გაფლანგვის თაობაზე სათანადო საბუთები გადაეცათ პროკურატურის ორგანოებისათვის.

ამხანაგობა „პროვოდნიკს“ არავითარ დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევს საქშინმრეწვის სატრანსპორტო განყოფილება (უფროსი კუპრავა), რომელსაც იგი უშუალოდ ექვემდებარება.

ნავროზაშვილი და ბუხჰალტერი ნინო თოხაძე მთელ დროს კინკლაობას და თანამშრომლებთან ჩხუბს ანდომებდნენ, მოტყუებით აჰყავდათ თანამშრომლები და, როცა სასწრაფო საქმეს დაამთავრებდნენ, ითხოვდნენ სამუშაოდან. ერთი ფაქტი:

ამ ამხანაგობა — „პროვოდნიკის“ მთავარმა ბუხჰალტერმა ნინო თოხაძემ წელს თავის მოადგილედ მოიწვია ქეთო მიქაბერიძე. თოხაძე მას ბევრ რამეს ჰპირდებოდა: 400 მანეთ ხელფასს თვიურად, წლიური ბალანსის შედგენისათვის ცალკე გასამრჯელოს და სხვ. ამ შეთანხმების მიხედვით, მიქაბერიძემ 13 იანვრიდან დაიწყო ამხანაგობა „პროვოდნიკში“ მუშაობა. იგი ჯერ მართლაც წლიური ბალანსის შედგენაზე მუშაობდა. 16 იანვარს, რაკი წინასწარი შეთანხმება იყო, მან განცხადებით მიმართა „პროვოდნიკის“ გამგეობას: „თანახმად მთავარ ბუხჰალტერთან შეთანხმებისა, მე ვმუშაობ თქვენთან 13 იანვრიდან წლიური ბალანსის შედგენაზე. გთხოვთ გააფორმოთ და დამნიშნოთ ბუხჰალტრის თანამდებობაზე“. ამხანაგობა „პროვოდნიკის“ გამგეობის თავმჯდომარემ მიქაბერიძის განცხადებას დაადო რეზოლუცია:

„ბუხჰალტერიას. გააფორმეთ. ს. ნავროზაშვილი“.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო მთელი „ეპოპეა“ ამ ამხანაგობის მასშტაბით, მაგრამ ვინ გაითვალისწინებდა თუ მთავარ ბუხჰალტერს ნინო თოხაძეს უცნაური განზრახვა უმწიფდებოდა სინდისის სიღრმეში. მისი განზრახვის შინაარსი კი მდგომარეობდა იმაში, რომ როგორმე ჩქარა მოეშორებინა თავიდან მიქაბერიძის ქალი, გასამრჯელოც არ მიეცა და სხვა მხრივ თუ არა, ნივთიერად მაინც დაეზარალებინა. ამ მოსაზრებით... ნინომ სადღაც დაჰკარგა გამგეობის თავმჯდომარის ხელმოწერით დამშვენებული განცხადება. აშკარად თოხაძემ გაჩარხა საქმე. ხმას არ იღებდა მიქაბერიძის ქალი, რადგან მან იცოდა, რომ გამგეობის თავმჯდომარემ დაადასტურა მისი ბუხჰალტრობა, სინდის დამშვიდებული იყო თავმჯდომარეც — მან თავის ვალი მოიხადა, განცხადებას რეზოლუცია დაადო.

წლიური ბალანსის შედგენა 9 თებერვალს დაამთავრეს და, რაკი სარეწაო კავშირმა მოიწონა ეს ბალანსი, მიქაბერიძემ მოითხოვა გასამრჯელო. ნავროზაშვილმა რეზოლუცია წააწერა განცხადებას — წლიური ბალანსის შედგენისათვის გაეცით თვენახევრის ხელფასიო. ნინო თოხაძის ვარაუდი სხვანაირი იყო და ეს ვერ გაითვალისწინებია ნავროზაშვილს. ამის შესახებ ნინომ კინაღამ აწყენინა თავმჯდომარეს, რომელიც შეეცადა დაუყოვნებლივ „გამოესწორებინა შეცდომა“ და შემდეგ, იმავე რეზოლუციას დაუმატა: „უმცროსი ბუხჰალტრის ხელფასის ანგარიშით“.

ქეთო მიქაბერიძე მაინც მოტყუებული დარჩა. მაგრამ ეს საკითხი ჩვენ იმდენად არ გვაინტერესებს: თუ რაში მოატყუეს არტელის „მამებმა“ მათი ერთერთი თანამშრომელი. ფაქტად რჩება, რომ ქ. მიქაბერიძეს დღემდე არ მიუღია არც ბალანსის შედგენის გასამრჯელო და არც ძირითადი ხელფასი (ორი თვის — 800 მანეთი და ბალანსის — 600 მანეთი).

ამხანაგობა „პროვოდნიკი“ ასეთი ხელმძღვანელობის შედეგად დაშლის კარამდეა მისული. წევრებს 5-6 თვის ხელფასი არა აქვთ მიღებული. ამჟამად ამხანაგობას ხელფასისათვის თანხები არ გააჩნია. სარეწაო კავშირმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს ამხანაგობა „პროვოდნიკის“ გაჯანსაღებისათვის, ხოლო ნავროზაშვილმა და ბუხჰალტერმა თოხაძემ სასტიკი პასუხი უნდა აგონ.

მოქ. ქ. მიქაბერიძეს დაუყოვნებლივ უნდა გაუსწორონ ანგარიში, მიუხედავად ქვირვეულთა სურვილისა.

შ. ხინბაძე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ორდენოსანი თეატრის გაფორმება ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ილიას საიუბილეო საღამოები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ შედგენილმა მწერალთა რვა ბრიგადამ მოიარა რესპუბლიკის რაიონები, სადაც 13 მაისიდან მოკიდებული გაიმართა 40-ზე მეტი საღამო, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი.

ბრიგადების წევრთაგან მწერლები ს. თავაძე და ვ. გაბესკირია გამოვიდნენ მოხსენებებით მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებსა და საგარეჯოში. სიღნაღის რაიონს იმავე მიზნით ესტუმრნენ დ. ბენაშვილი და ა. გომიაშვილი. წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის და ხობის რაიონებში იყვნენ კ. მელაძე და გ. ქუჩიშვილი. მწერალი ა. არსენიშვილი გამოვიდა ბაშკიჩეთის, ალბულაღის და ბორჩალოს რაიონებში, ხოლო გ. მებუკემ რამდენიმე საიუბილეო საღამო მოაწყო ქუთაისში.

მთელი რიგი საღამოები მოაწყეს მწერლებმა შ. აფხაიძემ და ვ. ჟურულმა სამხრეთ-ოსეთში, მახარაძის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებში.

მსხვილ სამრეწველო საწარმოთა რაიონებში—ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანაში, ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში და სხვ. იყვნენ ვ. გაფრინდაშვილი და ვ. გორგაძე.

ამ დღეებში აბაშის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონებში საიუბილეო საღამოების მოსაწყობად გაემგზავრებიან ა. სულავა და ი. აბაშიძე.

მთელი რიგი საიუბილეო საღამოები მოეწყო თბილისში, საგურამოში, კოჯორში და სხვაგან.

◇ ◇ ◇

სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის დეპეშა

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის სახელზე ერევნიდან მიღებულია სომხეთის საბჭოთა მწერლების შემდეგი დეპეშა:

„სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირი თქვენთან ერთად დიდად აფასებს საქართველოს უდიდესი მწერლის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ჭავჭავაძე ქართული რეალისტური ლიტერატურის უდიდესი პოეტი, რომანისტი და კრიტიკოსია, რომელმაც თავისი შემოქმედებით გამოამჟღავნა ფეოდალური წესწყობილება და მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც იმაღლებდა თავის საპროტესტო ხმას ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

სომხეთის მწერალთა საზოგადოებრიობა და სომხეთის მშრომელები იცნობენ ილია ჭავჭავაძეს, როგორც მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლს.

ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ მიღებულია მთელი რიგი ღონისძიება მისი შემოქმედების უფრო მეტი პოპულარიზაციისათვის.

ჭავჭავაძის კულტურულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისთვისაც.

გაუმარჯოს მოძმე საქართველოს ლიტერატურას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ნაციონალურ კავშირს!

ინტერნაციონალური სოლიდარობის სპექტაკლი

შ. გუაჩიძე

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც ესპანეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. ფრანკოს, მუსოლინის და ჰიტლერის ფაშისტური ურდოები უმოწყალოდ ანადგურებენ ქვეყანას. იწვის ქალაქები და სოფლები, ბარბაროსთა ავიაცია დაუზოგავად სცელავს მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს, სიკვდილს და განადგურებას სთესავს ყველგან.

რესპუბლიკა სისხლისაგან იცლება, მაგრამ არ სთმობს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ესპანეთის ხალხი გმირულად იბრძვის ფაშიზმის შესამუსრავად და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც დაქირავებულ მკვლელთა ურდოები განადგურებული იქნებიან.

ესპანეთის მშრომელთა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უკანასკნელ როლს არ თამაშობენ ბავშვები. ბევრგან ისინი მხარში უდგანან თავიანთ მამებს და ძმებს, მათთან ერთად გმირობისა და სიმამაცის მაგალითებს იძლევიან.

ერთერთი ასეთი მებრძოლი—ენტუზიასტი ჰყავს გამოყვანილი ალ. კაჭკაჭიშვილს თავის პიესაში „ადელანტე", რომელიც მორიგ პრემიერად დაიდგა მოზარდ-მაყურებელთა თეატრში 29 მაისს.

პიესა ესპანეთში გაჩაღებული ბრძოლის სწორ ანარეკლს იძლევა. ბრძოლის სიმწვავე, მტრის ვერაგობა და დაუზოგველობა, რესპუბლიკელთა სიმამაცე და უანგარო თავდადება, სიყვარული სამშობლოსა და თავისუფლებისადმი სადად, მართივად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები. პიესის ღირსება კიდევ იმაშია, რომ ის სცენიურია, მოქმედება თანდათან აღმავლობის გზით მიდის და მაყურებელი დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს ამბების განვითარებას.

მოზარდთა თეატრს განსაკუთრებული მაყურებელი ჰყავს: მგრძნობიარე, გულწრფელი, მოსიყვარულე. ამ დღესაც ის ღრმად განიცდიდა პატარა დიეგოს თავგადასავალს, მასთან ერთად სტიროდა და იცინოდა. და როდესაც დიეგო შეხვდება მოღალატე გალაორას, რომელმაც ის მოტყუებით ფაშისტთა ბანაკში მოიყვანა, და სთხოვს წამიყვანე სახლშიო, — ნორჩი მაყურებლები ადგილიდან შესძახებენ:

— დიეგო, არ წაჰყვე, ეგ მოღალატეა.

სპექტაკლის ავტორებმა: რეჟისორმა-დამდგმელმა რესპ. დამს. არტისტმა ალ. თაყაიშვილმა და მხატვარმა გ. ვოლჩინსკიმ მშვენიერი სანახაობა შექმნეს, რომელიც იტაცებს და აღელვებს მაყურებელს, ძმობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობას აღვივებს მასში. სპექტაკლში ბევრია ნიჭიერად მოფიქრებული და ხორცშესხმული მიზანსცენა; წარმოდგენის გარეგნული გაფორმება ლამაზია და მიმზიდველი.

როდესაც „ადელანტეს" შემსრულებლებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში გოგუცა კუპრაშვილი უნდა მოვიხსენიოთ. ეს ნიჭიერი მსახიობი ისე შეეზარდა მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რომ ნორჩ მაყურებელს ვერც კი წარმოუდგენია სპექტაკლები უმისოდ. ყოველთვის ცოცხალი, გულწრფელი და ხალისიანი, იგი „ადელანტეშიც" ასეთი მხატვრული ალღო, სისადავე, ზომიერება — მისი შესრულების საუკეთესო თვისებებია.

მტერი ვერაგია, ფლიდი, დაუზოგავი. ის ყოველგვარ სისაძაგლეს მიმართავს რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთად გვისურათებს რესპუბლიკელთა ბანაკში შეპარულ ფაშისტ ჯაშუშ-დივერსანტს მსახიობი ვახ. არეშიძე (გალაორა) და ასეთი გაგება სავსებით სწორია.

გამოკვეთილ, დამაჯერებელ სახეებს ჰქმნიან დანარჩენი შემსრულებლებიც: გ. დარისპანაშვილი, რესპ. დამს. არტისტი ნიკო გვარაძე, მ. ერგნელი, ალ. კაჭკაჭიშვილი, თ. ლევარდი, გ. დეისაძე, ა. ყიასაშვილი, დ. კობახიძე, მ. ციციშვილი, გ. ნინუა, ნ. მიქაშავიძე, ლ. ჰეჰინაძე, ვილვილიანი.

წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. გაჭედილი დარბაზი მხურვალედ ესალმებოდა რესპუბლიკის დამცველებს, მათ ყოველ წარმატებას. სპექტაკლის შემდეგ წაკითხულ იქნა დეპეშის ტექსტი, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივისა და მაყურებელთა სახელით გაეგზავნა ესპანეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს: პრეზიდენტ ასანიას, მთავრობის თავმჯდომარეს ნეგრინს, ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის გენერალურ მდივანს ხოზე დიასს, ც. კ-ის წევრს დოლორეს იბარურის, გენერალ მიახას.

— მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის კოლექტივი, — ნათქვამია დეპეშაში, — მხურვალე სალამს უძღვნის ესპანეთის გმირულ ხალხს, რომელიც თავდადებულად იცავს თავის ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას გენერალ ფრანკოს, მუსოლინის და ჰიტლერის ფაშისტური ბანდებისაგან.

ბედნიერი საქართველოს ბედნიერი ბავშვები თავის აღტაცებას გამოსთქვამენ ესპანეთის ბავშვების სიმამაცის გამო და აღჭურვილნი არიან მხურვალე სურვილით იხილონ ისინი ახლო მომავალში ისეთივე ბედნიერნი, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბავშვები.



„ადელანტე" მოზარდ მაყურებელთა თეატრში. სურათზე: რესპუბლიკელი მებრძოლი ქალი ტოლოზა (მსახიობი მ. ერგნელი).

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ჩვენ ვამაყობთ თქვენით, ესპანეთის რესპუბლიკის გმირო დამცველებო, და აღსავსე ვართ სურვილით მხატვრულ სახეებში აღვბეჭდოთ თქვენი ბრძოლა, ვუჩვენოთ ქართველ მოზარდ თაობას მთელი სიდიადე თქვენი საქმისა, მთელი სისაძაგლე და ბარბაროსობა კულტურისა და კაცობრიობის მტრების — ფაშისტების მოქმედებისა.

დღეს ჩვენთან დიდი ზეიმია, პირველად ვდგამთ ჩვენი დრამატურგის ა. კაჭკაჭიშვილის პიესას „ადელანტე". გაჭედილი დარბაზი მღელვარედ ადევნებდა თვალყურს ყოველ სცენას, ესპანეთის რესპუბლიკის გმირულ დამცველთა ყოველ მოძრაობას და მქუხარედ ესალმებოდა სახალხო არმიის გამარჯვებას.

„ადელანტეს" სპექტაკლი გადაიქცა ქართველი ხალხის ესპანეთის ხალხთან სოლიდარობის მძლავრ დემონსტრაციად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ესპანეთის ხალხი ღირსეულად გამოვა მძიმე განსაცდელიდან და დაამხობს რესპუბლიკის ყველა მტერს.

Adelante!

◇

სურამში გაიხსნა ახალი სანატორიუმი

30 მაისს იტრიაში (სურამი) გაიხსნა მალარიით დაავადებულთა სამკურნალო ახალი სანატორიუმი 100 საწოლით. სანატორიუმის გახსნაზე დასასწრებად შეგროვდნენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, სტახანოველები, პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. მოვიდნენ აგრეთვე სტუმრები თბილისიდან, ბორჯომიდან, ბაქოდან და სხვა ქალაქებიდან.

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. გ. სტურუამ, რომელმაც მიულოცა სურამის მშრომელებს ეს ახალი გამარჯვება. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე პროფ. პავლოვმა (ბაქო), პროფ. კანდელაკმა (საქ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი), საქ. ჯანსახკომის წარმომადგენელმა ამხ. ჩხოლარიამ, ხაშურის ელექტრომავალთა დეპოს სტახანოველების წარმომადგენელმა ამხ. კვირიამ და სხვ.

საზეიმო კრებამ, რომელსაც 500-მდე კაცი დაესწრო, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა ამ ახლად გახსნილ სანატორიუმს მიენიჭოს საქართველოს ბოლშევიკებისა და საქართველოს ხალხთა ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელი.

მზადება გეოლოგიური კონგრესისათვის

20 ივლისს მოსკოვში გაიხსნება მე-17 საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა და უცხოეთის გამოჩენილი სპეციალისტები.

კონგრესის გახსნამდე მოეწყობა კონგრესის მონაწილეთა ექსკურსიები მოკავშირე რესპუბლიკებში.

საქართველოში მოეწყობა ორი ექსკურსია. პირველი ექსკურსია 100 კაცის შემადგენლობით თბილისში ჩამოვა 5 ივლისს. 6 ივლისს დელეგაცია დაათვალიერებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ ინსტიტუტს, საქართველოს მუზეუმს, თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას, კულტურისა და დასვენების პარკს, ფუნიკულორს, ეთნოგრაფიულ და გეოლოგიურ მუდმივ გამოფენას, რომელიც კონგრესთან დაკავშირებით ეწყობა საქართველოს მუზეუმის შენობაში და სხვ.

7 ივლისს დელეგაციის ერთი ნაწილი 60 კაცის შემადგენლობით გაემგზავრება სომხეთში, სადაც გაეცნობიან სომხეთის გეოლოგიას და ბორჯომის ხეობაზე გამოვლით დაბრუნდება თბილისში.

მეორე ჯგუფი 40 კაცის შემადგენლობით, რომელსაც გაჰყვებიან პროფ. ალ. თვალჭრელიძე, პროფ. ქ. გაბუნია, პროფ. ალ. ჯანელიძე და სხვ., წავა ჭიათურაში, სადაც გაეცნობიან შავი ქვის წარმოებას და ქალაქის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს.

ჭიათურიდან გამგზავრებისას ექსკურსანტები გაივლიან ყოფ. ჯრუჭის მონასტერს, ონს, შოვს და ოსეთის სამხედრო გზით ზვანჭკარას საბჭოთა მეურნეობასა და ქუთაისზე გავლით ჩავლენ სად. რიონში. გზაში დელეგატები გაეცნობიან საქართველოს გეოლოგიის მნიშვნელოვან განაკვეთებს და აფხაზეთზე გავლით 15 ივლისს დაბრუნდებიან მოსკოვს კონგრესში მონაწილეობისათვის.

მეორე ექსკურსია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნავთის სპეციალისტები 60 კაცის შემადგენლობით, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვა კონგრესის დამთავრების შემდეგ, 20 აგვისტოს. დელეგატები გაეცნობიან თბილისს და მეორე დღეს გაემგზავრებიან კახეთში საქართველოს ნავთის სარეწაოების გასაცნობად.

◇

ტრამვაი, ტროლეიბუსი

ძნელაძის ქუჩაზე უკვე დაიწყეს ტრამვაის ლიანდაგის დაგება. ქუჩის ზოგიერთი ადგილი გაფართოვებულია.

ძნელაძის ქუჩაზე ტრამვაის მოძრაობის გახსნის დროისათვის რუსთაველის პროსპექტზე გაიყვანენ ტროლეიბუსის ხაზს. სატროლეიბუსო ვაგონები მიღებულია. ამჟამად მოელიან საჭირო გამმულობისათვის საჭირო კაბელებს.

ტრამვაის მოძრაობის შეწყვეტიდან სატროლეიბუსო მოძრაობის გახსნამდე რუსთაველის პროსპექტზე იწარმოებს ტრამვაის სალიანდაგო ზოლების მოასფალტება.

◇

თბილისის ზოოპარკში

თბილისის ზოოპარკის დირექციას გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს ზოოპარკისათვის უცხო ჯიშის ცხოველები. ასკანია-ნოვას წარმომადგენლებთან დამთავრებულია მოლაპარაკება ირმების, ანტილოპების, ბაიბაკების, სირაქლემებისა და სხვა ცხოველების შეძენის შესახებ. სულ ასკანია-ნოვადან თბილისში უნდა ჩამოიყვანოს 30-მდე ცხოველი.

დადებულია ხელშეკრულება ყაზბეგელ მონადირეებთან წელს ათი კავკასიური ჯიხვის დაჭერის შესახებ. ყაზბეგელმა მონადირეებმა იკისრეს აგრეთვე გადასცენ თბილისის ზოოპარკს კავკასიონის მთის ალპიური ზონის ცოცხალი ფრინველები— შურთხი, როჭო, გარეული ინდოური და სხვ.

◇

სახელმწიფო უნივერსიტეტში

დღეს, პირველ ივნისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იხსნება ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია. პირველი სხდომა მოწვეულია 7 საათზე № 93 აუდიტორიაში. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვლენ ვ. ასათიანი — „ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები"", აპ. ნუცუბიძე — „კონკურენციის კანონი კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში", ტრ. რუხაძე — „შოთა რუსთაველის გავლენა აღორძინების ხანის მწერლობაზე".

თბილისის „ლოკომოტივის" და ბაქოს „ტემპის" მატჩი 30 მაისს

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ფეხბურთი

„ლოკომოტივის" ახალი გამარჯვება

30 მაისს „საკავშირო თასის" გათამაშების მეორე ტურში „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი" და ბაქოს გუნდი „ტემპი". შეჯიბრებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ბაქოელებმა ჩვეულებრისამებრ სწრაფი ტემპით დაიწყეს თამაში და უკვე მეორე წუთზე თბილისელ მეკარეს შუდრას ფრიად ძნელი ბურთის აღება მოუხდა. ბაქოელებს შემდეგაც არ შეუწყვეტიათ იერიშები. შუა ტაიმში მდგომარეობა თანდათან გათანასწორდა. მალე ინიციატივა ხელთ იგდეს ლოკომოტიველებმა. მე-25 წუთზე ლამაზი კომბინაციის შედეგად ლოლაძემ გაიტანა პირველი ბურთი. „ტემპმა" მიზნად დაისახა ანგარიშის გაქვითება და მიაღწია კიდეც ამას.

მეორე ტაიმში ბაქოელები ფიზიკურად გამოიფიტნენ და უხეში თამაშით ცდილობდნენ სუსტი ტექნიკის კომპენსირებას. ლოკომოტიველები კი თანდათან მეტი მონდომებით თამაშობდნენ. მთელი მეორე ტაიმი „ლოკომოტივის" აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა.

უკვე ტაიმის დასაწყისშივე გ. აფრიდონიძემ მოხდენილად გაიტაცა ბურთი, გაუსხლტა მცველებს და მაგარი დარტყმით ახალი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

შუა ტაიმში იმავე აფრიდონიძემ სახიფათო მომენტი შეჰქმნა ბაქოს კართან. ამით ისარგებლა ს. სიხარულიძემ და მესამედ გაარღვია ჭიშკარი.

„ლოკომოტივმა" კარგად ჩაატარა მთელი მატჩი და დამსახურებულად მოიგო იგი.

◇

სეტყვა ცხაკაიას რაიონში

ცხაკაია, 31 მაისი (საკ. კორ.) 29 მაისს, საღამოს 6 საათზე, დაიწყო დიდი სეტყვა, რომელიც შემდეგ გადაიქცა ნიაღვრად. საგრძნობლად დაზიანდა ჩაის, რამის, ნარინჯოვან კულტურათა პლანტაციები და მინდვრის ნათესები.

◇

საქდესისაგან

გაზეთ „კომუნისტის" 22 მაისის ნომერში მე-2 გვერდზე ამხ. ლ. ბერიას მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე მე-4-5 სვეტზე პირველი ცხრილის ქვემოთ პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: „მე მოვიყვანე მსხვილ კოლმეურნეობათა მაგალითები, მაგრამ ჩვენში არიან მოწინავე კოლმეურნეობანი მეურნეობათა მცირე რაოდენობით, რომელნიც შრომადღის ღირებულების მხრივ სარეკორდო მაჩვენებლებს გვაძლევენ".

„კომუნისტის" იმავე ნომრის მესამე გვერდზე მე-5 სვეტზე მეხუთე აბზაცი ქვემოდან უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: „ამ დადგენილების შესაბამისად საქართველოში ლიკვიდირებულია 163 საბჭოთა მეურნეობა და მეურნეობა და 72 საბჭოთა მეურნეობას და მეურნეობას ჩამოეჭრა ზედმეტი მიწები".

ნეკროლოგი

გიგო ონიკაშვილი

საბჭოთა პედაგოგების რიცხვს გამოაკლდა ერთერთი აქტიური, თავდადებული მუშაკთაგანი. 29 მაისს თბილისში გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი გიგო ონიკაშვილი.

ღარიბი ოჯახის შვილმა, ყოველგვარ სახსარს მოკლებულმა, თვითმპყრობელობის დროს დიდი გაჭირვებით დაამთავრა ფიზიკო მათემატიკური ფაკულტეტი.

1915 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას.

1922 წლიდან ამხ. გიგო მუშაობს თბილისის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. მუშფაკების დაარსების დღიდანვე გიგო აქტიურად მუშაობს როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრატიულ და საზოგადოებრივ თანამდებობებზე.

დიდი ენტუზიაზმით მუშაობდა გიგო უმაღლეს კომუნისტურ სას.-სამ. სკოლაში და მილიციის სასწავლებელში; იგი დიდად აფასებდა საზოგადოებრივ მუშაკთა კადრებს, არა ზოგავდა თავის ენერგიას საზოგადოებრივი მუშაობისათვის. 1926 წლიდან გიგო თბილისის საბჭოს წევრია, ხოლო უკანასკნელი არჩევნების დროს იგი კიროვის რაიონის საბჭოს წევრად აირჩიეს. ზრუნავდა რა საბჭოთა სკოლის განმტკიცებისა და მაღალსაფეხურზე დაყენებისათვის, გიგო დაუღალავი ენერგიით მუშაობდა განათლების სექციაში.

ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე, საჭირო ცოდნითა და დიდი გამოცდილებით აღჭურვილი გიგო ბევრს გააკეთებდა ჩვენი სკოლებისათვის.

ულმობელმა სიკვდილმა შუაგზაზე შესწყვიტა მისი სიცოცხლე. დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა როგორც პედაგოგებში, ისე მის მიერ აღზრდილ უამრავ მოწაფეთა და სტუდენტთა გულში.

მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო.

დ. კოშახიძე, მ. ქოჩიაშვილი, მ. ლევიცკი, თ. ბეგიაშვილი, ი. ბაკურაძე, ლ. შაბაიანი, დ. ციცაძე, ლ. ხიზანიშვილი, ს. ბერეჟიანი, ო. ქეიშვილი, მ. ქობულია, ი. ჭურაძე, ა. ფიფია.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლი

1 ივნისს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტში — კონსულტაცია თემაზე: 1) ამხანაგ სტალინის წერილი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენელთადმი, რუსულ ენაზე, დასაწყ. საღ. 8 საათზე.

2) ამხანაგ სტალინის წერილი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენელთადმი, ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. თავაძე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

პროპაგანდისტის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: 1) პარტიული პროპაგანდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. კ. დემეტრაძე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

2) უცხოეთის დაზვერვათა მიერ აგენტების შესარჩევად წარმოებული მუშაობის ზოგიერთი ვერაგული ხერხის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკური აგიტაციის ხასიათი და ამოცანები. რუსულ ენაზე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი.

ლორის ტყავი ძვირფასი ნედლეულია
ტყავის მრეწველობისათვის

მისგან ამზადებენ ფეხსაცმელს. ჩოსართავებს და ტყავის სხვა ნაწარმს



გაატყავეთ ყველა დაკლული და არაგადამდები სენით მომკვდარი ლორი და გოჭი და ტყავი ჩააბარეთ სახელმწიფო დამამზადებლებს

მაღალხარისხოვან ტყავში ჩამბარებლებს ეძლევათ უფრო მაღალი ფასი და მიეცემათ ტყავის საუკეთესო ნაწარმი

უმჯობესია ლორები იკვლებოდეს სასაკლაოს მოედანზე
აქ წესიერად დაჰკლავენ ლორს, კარგად გაატყავებენ და ტყავს
კარგად დააკონსერვებენ.

არავითარ შემთხვევაში არ გააშროთ და არ გაჭუჭყიანოთ ლორის ტყავი, ამით იგი ფუჭდება

ლორის ტყავებს დაწესებულ ფასებში ყიდულობენ „სოიუზზაგოტკოჟის"
რაიონული დამამზადებელი კანტორები, აგენტები, ფარდულები და სასაკლაოს მოედნები, აგრეთვე სასოფლო
სამომხმარებლო საზოგადოებანი.

„სოიუზზაგოტკოჟის"
საქართველოს კანტორა.

1110

საქართველოს საქფილემთის ცენტრალური მოედანი

დღეს, 1 ივნისს, საზაფხულო სეზონის გახსნა

თეატრი
ვ. ვ. ბარსოვა
დასაწყისი 10 ს. 15 წ.

ესტრადა
ქართული ესტრადის არტისტები
დასაწყისი 9 ს. 30 წ.

ბილეთები იყიდება საქფილემთის სალაროებში. 50

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
აცხადებს ახალი ნაკადის მიღებას 1-ლ კურსზე 1937/38 სასწავლო წლისათვის.

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება (ათწლედი, მუშფაკი, ტექნიკუმი) ან მიღებული აქვთ ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ ექსტერნატის წესით.

ტექნიკუმდამთავრებულნი მიიღებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვთ კანონით დაწესებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი; ეს სტაჟი არ მოეთხოვებათ თვითეული ტექნიკუმის გამოშვების 5 პროცენტში მოქცეულ პირთ, რომელთაც, თანახმად სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1933 წ. სექტემბრის 15-ის დადგენილებისა, უფლება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა, და აგრეთვე იმ პირთ, რომლებსაც ექნებათ იმ სახ. კომისარიატის ან უწყების სპეციალური ნებართვა რომლის გამგებლობაშიც იმყოფება ტექნიკუმი.

საშუალო სკოლადამთავრებულნი (ათწლედი), რომელთაც ძირითად საგნებში აქვთ ნიშანი „ფრიადი", ხოლო დანარჩენ საგნებში (ხატვა, ხაზვა, სიმღერა, მუსიკა, ფიზკულტურა) ნიშანი არა ნაკლებ „კარგისა", — მიიღებიან მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად.

ყველა დანარჩენი შემსვლელი აბარებს მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1) ქართული ენა (წერითი თხზულება, გრამატიკა, ლიტერატურა), 2) რუსული ენა (წერითი თხზულება, გრამატიკა, ლიტერატურა), 3) პოლიტცოდნა, 4) მათემატიკა, 5) ფიზიკა, 6) ქიმია, 7) გეოგრაფია და 8) ერთერთი უცხო ენა—ინგლისური, ფრანგული ან გერმანული, შემსვლელის არჩევით.

ქართულ და რუსულ ენებსა და მათემატიკაში გამოცდები ზეპირი და წერითია, ხოლო დანარჩენ საგნებში — მხოლოდ ზეპირი.

გამოცდები იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

მიღება იწარმოებს სუბტროპიკულ, ხეხილ-მევენახეობის, აგრონომიულ და საინჟინრო-მექანიკურ ფაკულტეტებზე.

განცხადებები მისაღებ გამოცდებზე დაშვებისა ან უგამოცდოდ მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნეს (შეიძლება ფოსტით გამოგზავნა, დაზღვეული წერილით) საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგ მისამართით: თბილისი, ვაკე, მარის ქ. № 35; განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნას შემსვლელის მიერ ამორჩეული ფაკულტეტი; განცხადებებს უნდა დაერთოს:

1) ავტობიოგრაფია,

2) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი).

3) სამი ფოტოსურათი შემსვლელის პირადი ხელისმოწერით, სახელმწიფო დაწესებულების მიერ შემოწმებული (სურათი გადაღებული უნდა იყოს უქუდოდ). 4) ცნობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის).

გარდა ამისა, შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს (პირადად) პასპორტი.

განცხადებების მიღება იწარმოებს ივნისის 20-დან აგვისტოს 1-მდე; მისაღები გამოცდები — აგვისტოს 1-დან 20-მდე, ხოლო სტუდენტებად ჩარიცხვა — აგვისტოს 21-დან 25-მდე. მეცადინეობა დაიწყება სექტემბრის 1-ს.

1109

ინსტიტუტის დირექტორი: პროფ. ან. ბუაჩიძე

ლენინის ორდენოსანი
რუსთაველის
თეატრი

1-VI	ალკაზარ
2-VI	ალკაზარ

დასაწყ. 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

1-VI	სამანიშვილის დედინაცვალი
2-VI	იცკა რიჟინაშვილი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დღეს [illegible] თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	დადგმის მე-2 კვირა გობსეკი ო. ბალზაკის ნოველის მიხ.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30 11	საზამთ. შენ. ახ. ხმ. ფილმი უმგარი. საზაფხ. შენ. ქალიშვილი კამჩატკიდან
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	(საზაფხ. და საზამთრო) დადგმის მე-2 კვირა ცამეტნი
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე-2 თვე ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე ნარინჯის ველი
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	საზამთ. შენ. მეკარე საზაფხ. „ გობსეკი
ახალი ამბები.	ახალი ხმ. ჟურნ. გამარჯვების ფინიში. ვოროშილოველი კავალერისტები.
კომინტერნი (საზაფხულო) 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე დარიკო

სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „გამწევის" წევრთა საერთო კრების დადგენილებით არტელი

„გამწევი" ლიკვიდირებულია.

ყოველგვარი პრეტენზიების მიღება სწარმოებს ა. წ. 10 ივნისამდე საღამოობით 8—10 საათამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

ლიკვიდკომი იმყოფება ლენრაიონში, მაგისტრალის, 52.

17124

ლიკვიდკომი.

საკავშირო პროფსაბჭოს მე-6 პლენუმის 1937 წ. 28/4—15/5 და საქ. პროფსაბჭოს 1937 წ. 27 მაისის დადგენილების თანახმად

საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭო ლიკვიდირებულია

საწარმოთა, დაწესებულებათა და ცალკე პირთა პრეტენზიები მიღებული იქნება სალიკვიდაციო კომისიის მიერ 1937 წ. 15 ივნისამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

სალიკვიდაციო კომისია მოთავსებულია გრიბოედოვის ქ. № 19, მეორე სართული, ოთახი № 87.

17128

ლიკვიდკომი.

ვამზადებთ მოწაფეებს უმაღლესი სასწავლებლებისათვის

მათემატიკასა, ფიზიკასა და ქიმიაში.

პირობების გაგება 9—11 საათამდე, საღ. $4\frac{1}{2}$—$5\frac{1}{2}$ საათ. ნინოშვილის ქ. № 47, მილიციის ქ. № 14, ბინა № 30 (პუშკინის ბაღის მახლობლად).

17125

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმესი მწუხარებით იუწყება კავშირის წევრის, ქართული საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების აქტიური მუშაკის, მედგარი ბოლშევიკის

ამხ. აკაკი ჟუღენიას

ტრაგიკულად დაღუპვას კლასობრივი მტრის ვერაგული ხელით.

საქ. კონსერვატორიის დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მტრის ხელით ტრაგიკულად დაიღუპა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის დირექტორი — ორდენოსანი

აკაკი მაქსიმეს-ძე ჟუღენია

კიროვის რაიონის სკოლის ასაკამდე აღზრდის სკოლების მასწავლებლები და გამგეები იზიარებენ მწუხარებას ამხ. თამარის ძმის

აკაკი ჟუღენიას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მგ. მდივნის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3—8591